წელიწადი მეორე ფასი 7 კაპ. შაბათი, 29 ნოემბერს 1916 წ. № 241

საქართველო

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „საქართველოს“ რედაქციასა და კანტორაში ყოველდღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9—3-მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4.

ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ, редакція „Сакартвело“, поч. ящикъ № 76

განცხადების ფასი

ჩვეულებრივი სტრიქონი [illegible] რდზე პეტიტით ღირს 1[illegible] კნელზე—10 კ., კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი 1 გვ. ეღირება 40 კ. 4-ზე 20 კ., ტექსტში—60 კ. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ ზომით 15×2 ღირს 5 მ.; 20×2 ღირს 7 მ., 25×2 ღირს 8 მ. 3 საათის შემდეგ (მიიღება მხოლოდ ა. კალანდაძის სტამბაში) ეღირ. მეტი.

დამატებიანი № ღირს ყველგან 10 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყოველ-დღიური საპოლიტიკო, საეკონომიო და სალიტერატურო გაზეთი

წელიწადი მეორე. **საქართველო** წელიწადი მეორე.

ტფილისში ღირს: ყოველ-კვირეულ სურათებიან დამატებით 4 თვით—4 მ. 80 კ. 3 თვით—3 მ. 60 კ. 1 თვით—1 მ. 20 კ. თვიურად ხელის მოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველიდან პირ-მდე.

პროვინციაში: წლიურად—10 მ. ხელის მოწერისას 5 მ. 1 თიბათვიდან—9 მან.

სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივის ზომისა ღირს 5 მან. ნაშუადღევის 4 საათის შემდეგ 6—მან.

გაზეთის კანტორა ღიაა დილით—9—3 საათამდე.

ფოსტის მისამართი: Тифлисъ. Московская ул. № 4, домъ Габаева. Почтовый ящикъ № 76.

რედაქტორ-გამომცემელი **ხანდრო შანშიაშვილი**

ნაფიც ვექილის თანაშემწე გიორგი თევდორეს ძე ჟორდანია ცოლშვილით და და-ძმითურთ აუწყებს ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ, რომ მისი ძვირფასი მამის

თევდორე დავითის ძის

ჟორდანიას

სულის მოსახსენებლათ პანაშვიდები გადახდილ იქმნება დღეს 28 და ხვალ 29 ღვინობისთვეს საღამოს 7 საათზე ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკკლესიაში, წირვა და ანდერძი კვირას 30 ამა თვისას. დაკრძალვა ნაწირ ვეჯს დიდუბის ეკლესიაში ქართულ მოღვაწეთა პანთეონში.

კვირას, 30 ღვინობისთვეს, გადახდილ იქმნება დიდუბის ღვთისმშობლის ეკლესიაში ნახევარის წლის წირვა და პანაშვიდი

ლადო დარჩიაშვილის

სულის მოსახსენებლად, რასაც აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ მისი დედა, ძმები, რძლები და ძმისწულები. პანაშვიდი დაიწყება 12 საათზე. (2—უ—1)

ილია გიორგის ძე გამრეკელი ღრმა მწუხარებით აუწყებს თავის ნათესავებს, მეგობრებს და პატივისმცემელთ, რომ ქალ. ახალციხეში 27 ღვინობისთვეს გარდაიცვალა მისი ძმა სტატსკი სოვეტნიკი ექიმი

ვასილ გიორგის ძე

გამრეკელი

დასაფლავება დანიშნულია კვირას, 30 ღვინობისთვეს, ქ. ახალციხეში, საგვარეულო აკლდამაში.

(1—226—1)

---

26 ღვინობისთვეს გარდაიცვალა **მარიამ ივანე კაკაბაძის ასული**

მეუღლე ალექსანდრე

ნიკიტინისა

რასაც მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა, ნაცნობთა და მეგობრებს, მეუღლე განსვენებულისა ალექსანდრე, ქალიშვილი **ნინო** და შვილი **დავით ნიკიტინები** და **მელანია საბაშვილისა** და ძმა **იაგორ კაკაბაძე** შვილებით.

პანაშვიდი პარასკევს, 28 ამა თვეს, საღამოს 6 საათზე (ბებუთოვის ქუჩა, სახლ. 16, ეზოში), გასვენება შაბათს, 29 ამა თვეს, დილის 9 საათზე, ქაშვეთის ეკლესიაში წირვის მოსასმენად და იქიდან კუკიის წმინდა ნინოს სასაფლაოზე.

2—2

ფოთი კვირას, 30 ღვინობისთვეს, ელექტრო-თეატრ „კომეტა“-ს დარბაზში

ილიკო ქურხული გამართავს

ლექცია—დილას

I და II განყოფილებაში წაიკითხავს „მოხეტიალე მუსიკოსის ნაწერებიდან“ შთაბეჭდილებებს პეტროგრადის, მოსკოვის და სხვა რუსეთის ქალაქების ეზოებში ხეტიალის დროს. მე-III განყოფილებაში სკრიპკაზედ შეასრულებს სხვა და სხვა მსოფლიო მუსიკოსების ნაწარმოებს თავის „საეზოო“ რეპერტუარიდან.

ადგილების ფასი 1 მ. 50 კ.-დან 20 კ.-მდე.

(3—224—2) დასაწყისი შუადღის 12 საათზე.

ღვინის სავაჭრო

ნიკო გ. სესიაშვილისა

იყიდება ხელსაყრელ ფასებში საუცხოვო ნამდვილი

კახური ღვინო

განთიის ქუჩა № 4.

სახლი სათავად-აზნაურო ბანკისა.

(185—ფ.)

თბილისის განყოფილება ვოლგა-კამის საკომერციო ბანკისა.

ვოლგა-კამის საკომერციო ბანკის თბილისის განყოფილებას პატივი აქვს საზოგადოებას აუწყოს, რომ ამა წლის 1 გიორგობისთვიდან ბანკის განყოფილებაში

გაიმართება ხელის მოწერა სახელმწიფო სამხედრო მოკლე ვადიან 5 ნახ. პროც. 1916 წ. მეორე სამხედრო სესხზე

სესხის ობლიგაციები გამოვა 50, 100, 500, 1,000, 5,000, 10,000 და 25,000 მან. ღირებულებისა ნახევარწლიან კუპონებითა პირველ აპრილისა და პირველ ღვინობისთვის ვადებისათვის. ხელის მოწერის ფასად დანიშნულია 95% მიმდინარე %% მიმატებით ამა წლის პირველ ღვინობისთვიდან გამოსყიდვის დღემდე.

ხელის მომწერთ შეუძლიათ გამოისყიდონ ობლიგაციები 500-მდე სესხებით, ხოლო 500 მანეთს ზევით, თუ სურთ, შეუძლიათ ითხოვონ და ნაწილნაწილათ გამოისყიდონ, სახელდობ: 50% ხელისმოწერის დროს და 50% არა უგვიანეს 1917 წლის 31 იანვრისა.

მთლიანათ გამოსყიდულ სესხის ქაღალდს განყოფილება დაიგირავებს 85% ნომინალურ ღირებულებისას 85%-ად, თან აღებულ იქნება საშუალოთო %%

(3—223—2)

ეკონომიის სასადილო

„ეკონომია“ პუშკინის ქუჩის პირდაპირ.

„ფრანციის“ ნომრების ქვეშ, შტაბის ქუჩა.

მოწყობილია ევროპიულ პირველ ხარისხოვან რესტორანების მსგავსად. საჭმლები ევროპიულიც არის და ადგილობრივიც. ყოველ დღეა: ხარშო, ლობიო, საცივი, ხაჭაპური, „პიროჟკი“ და სხვა საუზმე. სადილი და ვახშამი. მიუხედავად სანოვაგის სიძვირისა, „ეკონომიაში“ სადილები მეტად იაფია. გამოცდილი მზარეული სადილს კარაქით ამზადებს.

სასადილოში არის ნარდი და ბილიარდი

პატივისცემით „კაფე-პარიზის“ წინანდელი მწარმოებელი

(თ. 253—30) დიმიტრი უჩ. ზიბიბერია და ნ. გ. ქურთაური

პირველ ხარისხოვანი რესტორანი

კაფე პარიზი

ახლად მოწყობილი მსგავსად სატახტო ქალაქთა რესტორანებისა.

(სასახლის ქუჩაზე „ახალ კლუბის“ ქვეშ)

სიცხისაგან თავის შეფარება მხოლოდ „კაფე პარიზში“ შეიძლება.

ფასები უეღლახათვის ხელმისაწვდომია

ყოველ დღე მზადდება

საუზმე	ჩაი
სადილები	ყავა
ვახშმები	ხაჭაპური პიროჟკები

ადგილობრივი და უცხოური ხაჭმელები, კარაქზე, გამოცდილ მზარეულის ხელმძღვანელობით.

პატივისცემით ხილ. ხ. ვიგიბერია.

ექიმი

ფონ-ირტელი

(მიხეილოვის პროსპ. 128, კრილოვის ქუჩის კუთხე, 1, შესავალი კრილოვის ქუჩიდან, სახლი ოჰანეზოვისა).

მოსკოვის საზაზინო საავადმყოფოს ყოფილი ორდინატორი, სპეციალისტი დოსტაქრობისა, საშარდე მილისა, სქესობრივი ორგანოებისა, სიფილისისა და მის შედეგებისა (საშარდე მილის დავიწროება), სქესობრივი უძლურებისა, სიმსივნისა, ჰრილობისა, ბუასილისა, თეთრანასი (Бѣль), საშარდე ბუშტის სნეულებისა და საშვილოსნოსი. ორივე სქესის ავადმყოფების მიღება ხდება დილის $9^1/_2$-დან 1 საათამდე და ნაშუადღევის 5—9 საათამდე.

ერლიხის „914“ და „606“

შეშხაპუნება

გოლოვინის პრ. და სამხედრო ქუჩის კუთხეში, ფოსტა-ტელეგრაფის პირდაპირ გაიხსნა

ახალი აფთიაქი

პროვიზორის ახვლედიანისა

დოქტორი მედიცინისა

მოსე ანთიმოსის ძე

კალანდარიშვილი

უმცროსი ექიმი თბ. კადეტთა კორპუსისა.

ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებს მიიღებს ოლღას ქ. № 3.

ექიმი

მ. ი. ვაჩნაძე

იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულ. ავადმყოფებს მუდამ დღე, კვირა-დღის გარდა საღამოს 5—7 საათამდე, ბელინსკის ქ. № 4. (თ.—202—)

ექიმი-დოსტაქარი

გ. მ. მუხაძე

იღებს ავადმყოფთ საღამოს 5—6 საათ. მისამართი: კუთხე კიროჩნი და დიდი მთავრის ქუჩისა, სახლი სვანიშვილისა; შესავალი დიდი მთავრის ქუჩიდან № 67 ოფიცერთა ეკონომიური საზოგადოების შენობის პირდაპირ. ტელეფონი № 5—77.

სათავად-აზნაურო კომისია

აცხადებს, რომ მისთვის საჭიროა გამოცდილი

ინჟინერ-მელიორატორი

წლიურ ჯამაგირად მიეცემა 3,600 მან. ამას გარდა 5% შესრულებულ საქმეთა ხარჯთ-აღრიცხვიდან და ცალკე საგზაო და დღიური გასამრჯელო.

მისამართი: Тифлисъ. Двор. Депут. Собраніе—Земельная комиссія.

(7—211—5)

ბოროტმოქმედება არ სცხრება

„13 ღვინობისთვეს, ადგილობრივ (იგულისხმეთ ქუთაისში) ვაჭარს ბესარიონ ჟორდანიას თავის დუქანში ბოროტგამზრახველნი შეუცვივდნენ. ჟორდანიას ყელში თოკი წაუჭირეს და იქვე წაახრჩეს. შემდეგ დახლიდან 30 მანეთი ამოიღეს, 5 მანეთის პაპიროზები ჩაიწყეს ჯიბეში და მიიმალნენ“.

(ქრონიკიდან).

ადამიანმა არ იცის, რას უფრო აუჯანყდეს, — ქუთაისის საზოგადოების ყოვლად აღმაშფოთებელ გულგრილობას, თუ ჯიმ ადვირწახსნილ ბოროტმოქმედების პირთ, რომელნიც დუქანში შემოგვივარდებიან, თოკით წაგახრჩობენ და წაგართმევენ ყველაფერს, რაც ხშირად მთელი სიცოცხლის განმავლობაში შენის მუყაითობით დაგიგროვებია. თვე ისე არ გაივლის, რომ ქუთაისში ან ვინმე არ მოჰკლან, ან ვინმე არ გაიტაცონ ფულის შოვნის ნიადაგზე. ძნელი წარმოსადგენია ისეთი ქალაქი, სადაც ბოროტმოქმედება ისე ადვილად ხდებოდეს და ბოროტმოქმედების ავტორი ისე დაუსჯელად დაბრძანდებოდეს, როგორც ქუთაისში. საზოგადოება, რომელიც პატივს სცემს შრომას, მუყაითობას, გამოზოგვას, საზოგადოება, რომელსაც მყუდრო მოქალაქობრივი ცხოვრების და შემოქმედების სიყვარული ძვალ-რბილში გასჯდომია, პირველსავე ასეთ ბოროტმოქმედების წინაშე, ქვეყნის ზარებს ჩამორეკდა, ასტეხდა განგაშს, თვითონაც ფეხზე დადგებოდა და ადმინისტრაციასაც ფეხზე დააყენებდა, რომ როგორმე ბოროტმოქმედების დასაბამისთვის მიეკვლია, მისი ჩამდენნი გამოეძებნა და შეუბრალებლად დაესაჯა, რათა არავის გაღვიძებოდა მადა უშრომელად და ავაზაკურად სხვისი ქონების გატაცებისა და საზოგადოების მუშა და გამრჯელი წევრების წახრჩობა-ამოხოცვისა.

ასე მოიქცეოდენ იქ, სადაც ძლიერია საზოგადოებრივი ინსტიქტი, სადაც შეურყეველია და მკვიდრი სიცოცხლისა და ცხოვრების ძენი. საზოგადოება უნდა დაშლისა და გადაშენების გზაზედ იდგეს, რომ გულხელ დაკრეფილი შესცქეროდეს განზრახულ ბოროტმოქმედებას, რომელიც ძირს უთხრის საზოგადოებრივ კეთილდღეობას და შეუძლებელს ჰხდის რაიმე მიზანშეწონილ სოციალ-ეკონომიურ საქმიანობას...

ბევრჯელ შევხებივართ ქუთაისურ ბოროტმოქმედებებს, ბევრი სხვა და სხვა აზრი გამოთქმულა, ბევრი სხვა და სხვა ღონისძიება დაუსახელებიათ ამ ბოროტმოქმედების წინააღმდეგ საბრძოლველად, მაგრამ ყველა ამ კეთილ რჩევას უნაყოფოდ ჩაუვლია. ქუთაისის საზოგადოება იმ ავადმყოფს მოგაგონებთ, რომელსაც კუნთების დამბლა დასცემია, მოძრაობა-მოქმედების აპარატი სავსებით დაშლია და უმწეო მხოლოდ შინაგან მღელვარებაზედ ხარჯავს დაშთენილ ძალასა და ენერგიას.

ბოროტმომქმედნი სარგებლობენ ამ მდგომარეობით, განაგრძობენ თავიანთ საზიზღარ ხელობას. წელში გატეხილი მოქალაქე და მცხოვრებნი ბრძოლის ასპარეზს სტოვებს და ჩუმად მიიპარება, თუ ამის შეძლება აქვს, სხვა რომელიმე ქალაქში ან უცხო მხარეს ან ისევ საქართველოში. მდგომარეობა მეტის-მეტი სერიოზულია; ხიფათი სდარაჯობს იმერეთის ეკონომიურ საქმიანობას, რომელიც თავის ბუნებრივის გზით ცენტრისაკენ, ქუთაისისაკენ, მიიმართებოდა და იქ პოზიციებს ამაგრებდა. ბოროტმოქმედება დაუსჯელად ბატონობს. არც ადმინისტრაცია იჩენს რაიმე თადარიგს ამის წინააღმდეგ, და რაც უფრო გასაკვირია, არც ქუთაისის მუნიციპალიტეტი!

როდემდის უნდა გასტანოს ანარქიისა და ძარცვა-გლეჯის მეუფებამ ქუთაისში, როდემდის უნდა გაგრძელდეს ქალაქის თვითმართველობის და მთელი ქუთათელი საზოგადოების ყოვლად აღმაშფოთებელი უმოქმედობა და აპატია, როდემდის?!

გ. ვაშაძე.

ომის ამბები

ბრძოლის ველზე

ეს ორი დღეა რუმინეთის ასპარეზზე არსებითი ცვლილება არსად მომხდარა, მიუხედავათ იმისა, რომ ბრძოლა არა თუ შესწყდა, უფრო გაჩაღდა, გაღრმავდა და ზოგიერთ ახალ მიდამოშიაც გადავიდა. მაგ. ახმაურდა კარგა ხნობით გაყინული მდ. დუნაის ნაპირები. მოპირდაპირემ რუშჩუკის წინ მდებარე ქალაქს ჯურჯევოს ზარბაზნები დაუშინა. მდ. ჟიუზე მაშველი ჯარის მოსვლის შემდეგ ავსტრიელებმა შეტევა დაიწყეს; დობრუჯში რუსების და რუმინელების ერთის მხრივ და მაკენზენისას მოწინავე რაზმებს უხდებათ. შეტაკებანი იმის მიხედვით რომელმიმართულებით, რომელი მოპირდაპირე უფრო აქტივობას იჩენს უკანასკნელ დღეებში, ჩვენ შეგვიძლიანთ გავიგოთ, თუ ინიციატივა ბრძოლის ხაზის გაგრძელებისა ვის ეკუთვნის, ვინ უფრო ცდილობს ოპერაციის გადამწყვეტ შედეგისათვის რაც შეიძლება მალე ნიადაგი მოიმზადოს. დავაკვირდეთ ჯერ სამხრეთ-რუმინეთის ასპარეზს. კარგად ვიცით მაკენზენმა რაც მოიმოქმედა ამ მხარეს. იმაშიაც ღრმად ვართ დარწმუნებული, რომ მაკენზენს თავისი გაბედული ოპერაცია მეტად მძიმედ დაუჯდება. დობრუჯის დაპყრობა და ჩერნოვოდ-კონსტანცის ხაზის აღება არც ისე ადვილი საქმე იყო. და თუ ეს შესძლო ჩვეულებრივი სისწრაფით მაკენზენმა, ეჭვი არაა მხოლოდ დიდი მსხვერპლით და ზარალით. გამარჯვების შემდეგ გერმანეთის გენერალი გაჩერდა ერთს ხანს და კარგა ხნობით დობრუჯში მყუდროება გამეფდა. დღევანდელ დღეს მისი ახმაურება რუშჩუკთან, ეს უკვე გაბედული ნაბიჯია მის მხრივ. ჯურჯევო და დობრუჯის ხაზი ძალიან შორი-შორს არიან ერთი მეორესაგან. თუ მაკენზენი ახლა აქა ცდილობს აქტიურ მოქმედების განახლებას, თავისთავად ცხადია, ჩრდილოეთის ხაზი მას დიდათ უზრუნველყოფილად მიაჩნია. ეტყობა ნაკლი ახალ ჯარებით შეივსო, შესაფერისად გაანაწილა და ახლა სხვა ადგილს იწყობს გაბედულ მოქმედებას. ინიციატივა უეჭველია მაკენზენს ეკუთვნის. ის ცნობა, რომ რუმინელები და რუსები მაინც არ ასვენებენ მაკენზენის ჯარს, სრულებით იმას არ ნიშნავს, ვითომ მოკავშირეები აქ საპასუხო ოპერაციის დაწყებას ჰფიქრობდნენ. ერთ-ერთ ჩვენ მორიგ წერილში დავანახვეთ მკითხველებს, თუ რა სახიფათო მდგომარეობა შეი-

ძლება შეიქმნას მოულოდნელად მოკავშირეებისათვის მხოლოდ იმის გამო, რომ მათ ზურგით საშინელი ჭაობები აქვთ და მდ. დუნაი კიდევ კედელსავით აფარებული.

ჩრდილო-დასავლეთ ასპარეზზე მოქმედების გაძლიერება, რომ ავსტრიელებს ეკუთვნის, ამას ხომ თვით ოფიციალი დეპეშა ადასტურებს. გუშინწინად მდ. ქიოფზე მაშველი ჯარების მოყვანა და იერიშების დაწყება ამის დამამტკიცებელია. დარჩა მხოლოდ მოლდავანიის ასპარეზი, სადაც რუმინელები უფრო აქტივობას იჩენენ და ავსტრიელებს აბევინებენ. ყველა ამის მიხედვით შეიძლება დანამდვილებით ითქვას, რომ ბრძოლის გაჩაღება მოპირდაპირის მეოხებით ხდება. ეს ასეც უნდა მომხდარიყო. დახანება უფრო ავსტრო-გერმანელებისათვის არის საზარალო. მრავალრიცხოვანის ჯარის დაბანდება მხოლოდ რუმინეთის წინააღმდეგ დიდად სახიფათოა გერმანელებისათვის. არ უნდა დავივიწყოთ, რომ მოკავშირენი დროს ელიან. შეიძლება სრულებით მოულოდნელად იგინი საერთო შეტევის გზას დაადგნენ და მაშინ მოპირდაპირეს აღარ შეეძლება დროზე მიიშველიოს და ხელსაყრელად დაანაწილოს ძალები. ეს არის მთავარი მიზეზი, რომ გერმანელები ძალებს იკრებენ და ემზადებიან გადამწყვეტ ოპერაციისათვის რუმინეთის ასპარეზზე.

X.

ომის დეპეშები

28 ღვინობისთვე.

უმაღლეს მთავარსარდლის შტაბისა.

პეტროგრადი. დასავლეთის ასპარეზი. მთელი დღის განმავლობაში არსებითი არაფერი მომხდარა. დორნავატრას სამხრეთით, ზელბორის მიდამოებში, ბრძოლა გრძელდება. სოფელ ხოლოს სამხრეთით ავსტრიელებმა შემოტევა იწყეს.

კავკასიის ასპარეზზე ცვლილება არ მომხდარა.

რუმინეთი. ტრანსილვანიაში, მდ. ბუზეოს ველის აღმოსავლეთით რუმინელებმა გერმანელები უკან დასწიეს, ხელთ იგდეს 100 ტყვე და ტყვის მფრქვეველი. მდ. ჟიუს ველში მოპირდაპირის იერიში მოიგერიეს.

დუნაის ბრძოლის ხაზზე ჩვენმა მოწინავე ჯარმა მტერი უკან დასწია და სამხრეთისაკენ წაიწია. სოფელი გირსოვო იწვის, მას მტერმა რამდენიმე მხრიდან ცეცხლი მისცა.

27 ღვინობისთვე.

ლონდონი. საღამოს ოფიციალი ცნობა. საფრანგეთის ასპარეზზე 25 ღვინობისთვეს მთელი დღე გადაუღებლივ წვიმდა. ანკრის სამხრეთით გერმანელებმა ლაბეფის მიდამოებს საშინელი სროლა აუტეხეს. ჩვენ ზარბაზნებს უშენდით არმანტირსა და ვეიენსტოოტის გვერდით მდებარე გერმანეთის სანგრებს.

პეტროგრადი. 29 ღვინობისთვიდან განჯაში სახელმწიფო ბანკის განყოფილება იხსნება, რომელიც ყველა აპერაციებს აწარმოებს, რაც კი ნებადართულია ბანკის კანტორასა და განყოფილებაში.

ჰავრი. ბელგიის ოფიც. ცნობა. ბეზინგეს მიდამოებში საკმაოდ ცხარე ბრძოლა იყო ხელის ყუმბარებით.

28 ღვინობისთვე

ათინა. ადმირალმა ფურნიემ დილით საბერძნეთის პატარა გემებზე საფრანგეთის დროშა ააფრიალა.

პეტროგრადი. რუსეთ-საფრანგეთის შორის დეპეშების გზავნა რუსული სიტყვებით და ლათინური ასოებით იწარმოებს საფრანგეთში მყოფ რუს სამხედრო პირთა სახელობაზე. ასევე გამოიგზავნება იქიდანაც.

სტოკჰოლმი. ბერლინიდან იტყობინებიან: საიმპერიო კანცლერმა სადარბაზოდ მიიღო პოლონელი მოღვაწენი, რომელნიც წინად ავსტრიის გარეშე საქმეთა მინისტრთან იყვნენ. ბეტმან-ჰოლვეგმა ბურიანის მსგავსად განუცხადა: ომიანობის დროს შეუძლებელია ზედმიწევნით განესაზღვროთ ახლად აღდგენილ პოლონეთის სახელმწიფოს მიჯნები და ვერც სახელმწიფოებრივ ცხოვრებას მოვაწესრიგებთო.

ლონდონი. ჰოლანდიის გემი „ფერნანტი“ უმავთულო ტელეგრაფით იტყობინება: რუსეთის ნავტიკ „არგო“-ს მეზღვაურნი გადავარჩინეთ. „არგო“ დაიღუპა.

ლონდონი, გარეშე საქმეთა სამინისტროში თათბირი დაიწყო შვეციიდან მოსულ წარმომადგენლებთან.

ჟურნალ-გაზეთებიდან

რუსეთის ასპარეზი

„რუს. ინვალიდ“-ის სამხედრო მიმომხილველი ასე ახასიათებს დღევანდელს მდგომარეობას: „შეიძლება 1917 წელს მოხდეს ისეთი ბრძოლა, რომელიც ეხლანდელ ომის ბედს გადასწყვეტსო“—უთქვამს ჰინდენბურგს ერთი გერმანელი გაზეთის წარმომადგენლისათვის. ჰინდენბურგის დაახლოვებულ თანამოღვაწე გენერალ ლიუდენდორფს კი განუცხადებია: „ავსტრიისათვის მხოლოდ ერთი სახსარია გამარჯვებისა—ომის გაჭიანურების შემოკლება“ და იგიც გამარჯვებისაკენ ისწრაფის. გამარჯვების თილისმა კი ითხოვს მთელი ხალხის ძალღონის თავმოყრას და ყუმბარების შეუჩერებლივ დამზადებას. იმავე გენერალ ლიუდენდორფს, რომელიც გერმანეთის იმპერატორის მთავარ ბანაკის შტაბის გამგეა, რაიხსტაგის ერთ-ერთ დეპუტატისათვის მიუწერნია: ეხლა გერმანეთს უაღრესი ძალ-ღონის გამოჩენა სჭირდება, რომ ყველა ასპარეზზე თავგანწირვით გარემომდგარ მტერთა იმედიანობა გულშივე ჩაუკლას. ამის გარდა, ამას წინადაც მოთავსებული გვქონდა ცნობა, რომ ავსტრია-გერმანეთს ომის განმავლობაში ჰყოლიათ სულ 7 მილიონი და 300 ათასი მეომარი. აქედან 4 მილიონი და 300 ათასი დაჰკლებია დაჭრილ-დახოცილ-ტყვედ წაყვანილებით. ეხლა ჰყოლიათ 3 მილიონი. ამათგან 300 ათასი კაცი მარქაფა ჯარისა. ეს რიცხვი მეტის-მეტად მცირეა და ავსტრიელები ჯარის შევსებად ალბად ოსმალებს და ბულგარელებს მიიწვევენ. სამართლიანობა მოითხოვს ვაღიაროთ, რომ ჩვენი წინანდელი მოლოდინი, რომ ავსტრიას მალე შემოაწყდება კუდი და მარქაფა ჯარი შემოელევაო, არ გამართლდა. ავსტრიამ გერმანეთის დახმარებით შესძლო უკიდურესი მდგომარეობიდან თავის დაღწევა. ყოველ შემთხვევაში, რამდენი მსხვერპლიც უნდა შთანთქას კიდევ ომმა, მოკავშირეები გაუძლებენ, მხოლოდ საჭიროა სიმტკიცე და ნერვების შენარჩუნება. კარგად ვიცით, რომ მომირდაპირის ჯარის ხელმძღვანელობა ისეთს ადამიანს აბარია, რომელმაც ომის დასაწყისშივე განაცხადა: „გამარჯვება იმას დარჩება, ვისაც უფრო მაგარი ნევრები აღმოაჩნდებაო“. როგორც სჩანს ეს ნერვები ჯერ-ჯერობით ავსტრიას დასჭიმია და გასკდომას ჰლამის. ჯერი ეხლა გერმანეთზეა.

გერმანელების ზარალი

ომის დაწყებიდან ამ წლის 30 ენკენისთვემდე, გერმანეთის მთავრობის ცნობებით, გერმანეთს დაჰკლებია 87,398 აფიცერი და 3,573,293 მეომარი. ამათ რიცხვიდან საბოლოოდ დაჰკლებია ჯარს 1.897,937 კაცი.

ზარბაზნების რაოდენობა

„დეილი ტელეგრაფ“-ის სიტყვით, გერმანელებს მდ. სომას მიდამოებში 2,100 ზარბაზანი ჰქონიათ. აქედან 850 ზარბაზანი ინგლისელების ბრძოლის ხაზზე, 650 სომას ჩრდილოეთ ხაზზე, 600 სომას სამხრეთ ხაზზეა. მას შემდეგ რაც მოკავშირეებმა ხელთ იგდეს გერმანელების 500 ზარბაზანი, გერმანელები ზარბაზნებს ბრძოლის ხაზის მოშორებით სდგამენ.

მეფის მადლობა

ტომსკის გუბერნიის გლეხს ფედოტ კომაროვს ომის საჭიროებისათვის შეუწირავს თვრამეტ თუმნად ღირებული ცხენი. ეს ამბავი სამხედრო მინისტრს მეფისათვის მოუხსენებია. მეფეს მოხსენებაზე წაუწერნია: „ჩემი გულითადი მადლობა გადაეცით“.

წყალქვეშას უვარგისობა სავაჭრო ნავოსნობისათვის

ინგლისური გაზეთი „დეილი ექსპრეს“-ი სწერს: შეერთებულ შტატების სავაჭრო პალატის ცნობებით შარშან თიბათვიდან მოკიდებული წელს თიბათვის გასვლამდე ამერიკიდა ინგლისს მიუღია 515 მილიონ ფუთზე მეტი საქონელი. ხოლო ყველა მოკავშირე სახელმწიფოებს კი ამერიკიდან ერთი წლის განმავლობაში მიუღია 1000 მილიონამდე ფუთი საქონელი. გერმანელების წყალქვეშა „დოიჩლანდ“-ი ჰზიდავს 44 ათასამდე ფუთს. ამის მიხედვით, ათას მილიონ ფუთის გადმოზიდვას 2775 წყალქვეშა დასჭირდებოდა თუ თითო წყალქვეშა 8 გზობას გააკეთებდა წელიწადში. ამერიკული გაზეთი „Armu anel Navy journal“-ის ვარაუდით წყალქვეშა ნავით გადაზიდული საქონელი ამერიკიდან ევროპაში 500 პროცენტით ძვირად ჯდება, ესე იგი, თუ სავაჭრო გემით ერთი ფუთის გადატანა, მაგალითად, ერთი მანეთი ჯდება, წყალქვეშათი ხუთი მანათი დაჯდება. ცხადია ინგლისის გარემოცვას გასაქარწყლებლად წყალქვეშა ნავებით საქონლის ზიდვა მიზანს ვერ მიაღწევს. აშკარაა, რომ წყალქვეშათა დანიშნულება სულ სხვა უნდა იყოსო.

ოსმალეთი

ოსმალეთის მთავრობამ უცხოეთში მყოფი 18 წლის ახალგაზრდობა ჯარში გაიწვია.

ბულგარეთი

ბუქარესტიდან იტყობინებიან: ბულგარეთში ყველა პარტიებმა ძმურად გაუწოდეს ერთმანეთს ხელი და მთავრობასთან ერთად მწყობრად მუშაობენ.

გერმანეთ-ნორვეგიის მორიგება

ქრისტიანიიდან „რეჩს“ დეპეშით ატყობინებენ: გერმანეთ - ნორვეგიის უთანხმოება მორიგებით დამთავრდა. ბირჟაზე ფასიანმა ქაღალდმა 30 პროცენტით აიწია.

ინგლისის ჯარის რაოდენობა

ლონდონის გაზეთების ცნობებით ინგლისს ომის დაწყებისას 459 ათასი ჯარისკაცი ჰყოლია. ომის განმავლობაში 6 მილიონამდე ასულა ეს რიცხვი. ამათგან 5 მილიონი მოხალისეები ყოფილან, 1 მილიონი კი იძულებით გაუყვანიათ. დღეს რამდენი ჯარი ჰყავს ინგლისს, ან რამდენი დაჰკლებია, ამის შესახებ არავითარი ცნობები არ არის გაზეთებში.

შვეციაში.

შვეციის სატახტო ქალაქ სტოკჰოლმის დასაცავად საფრენთა თავდასხმისაგან 700 ათასი მანათი შეუწირავთ. მეფემ მადლობა შეუთვალა შემომწირველთ.

ვოლინ-გალიციაში

„ჟურნალ“-ის ცნობებით ჰინდენბურგს ვოლინ-გალიციის ასპარეზზე დიდძალ რჩეულ გერმანელების ჯარისათვის მოუყრია თავი და აუარებელი ზარბაზნებიც მოუტანია.

მაკენზენის ჯარი

იტალიურ გაზეთების სიტყვით, მაკენზენს დობრუჯაში ეხლა დიდძალი ჯარი ჰყავს ოსმალებისა. აქედან გერმანელების დივიზიები სრულებით გაიყვანეს. ვარნიდან კიდევ მოვიდა დობრუჯაში ოსმალების ორი დივიზია.

ფალკენჰაინის ჯარი

„დეილი ტელეგრაფ“-ი სწერს: ტრანსილვანიაში მხოლოდ გერმანული მაშველი ჯარები გაიგზავნა და მხოლოდ მათგან შესდგა ფალკენჰაინის არმია. ფალკენჰაინს მხოლოდ ის ავსტრიელი ჯარი ჰყავს, რომელიც რუმინეთის გამოსვლის დღეს ტრანსილვანიაში იმყოფებოდნენ.

კარპატებში

„რუსკ. ინვ.“-ის სიტყვით, კარპატის უღელტეხილზე მოპირდაპირე ამაგრებს ზურგის მხარეს, გაჰყავს საველე გზები, ხეობებზე კი ბორცვიდან-ბორცვამდე გამბულ მავთულებზე მატარებლების მიმოსვლას აწყობს. მთის საცალფეხო გზებს შარა-გზებად აკეთებს და საშიშ ადგილებში ტყვის ხიდებს ჰმართავს.

გერმანეთის რეზერვები

ფრანგულ გაზეთ „ჟურნალში“ მოთავსებულია საყურადღებო ცნობები გერმანეთისა და ავსტროუნგრეთის სათადარიგო ჯარების შესახებ. ეს ცნობები გაზეთისათვის რუმინელ ოფიციალურ პირს მიუწოდებია, რომელიც რუმინეთის გამოსვლამდე ბერლინში იმყოფებოდა. როგორც სჩანს გერმანეთს ჯერ კიდევ სრულიადაც არ გამოლევია ცოცხალი ძალა. ავსტროუნგრეთის მდგომარეობა კი ამ მხრივ უფრო უნუგეშო ყოფილა. გერმანეთში 70 მილიონი სული სცხოვრობს. ავსტროუნგრეთში 52, ღლევანდელ ომში კი თვითეულმა მათგანმა სამ მილიონ ნახევარი ჯარისკაცი დაჰკარგა დაახლოებით. ამიტომ გერმანეთს ეხლა მეტი სათადარიგო ჯარი ჰყავს ვიდრე მის მოკავშირეს და დიდს დახმარებასაც უწევს მას ტრანსილვანიასა და ბუკოვინაში. რუმინელი ოფიციალი პირის ვარაუდით გერმანეთს ახლა დაახლოვებით 3 მილიონიანი რეზერვი ჰყავს მზამზარეულად. მაგრამ ეს რეზერვი გამოილევა მომავალში თუ მისი მოკავშირეების საქმის გაძღოლაც გერმანეთს დაეკისრა.

წყალქვეშა ნავის მიმოსვლა

გერმანელების სავაჭრო წყალქვეშა ნავი „დოიჩლანდი“ მეორეჯერ ესტუმრა ამერიკას. ეხლა იქ თურმე სამხედრო წყალქვეშა ნავს ელის, რათა მასთან ერთად დაბრუნდეს სამშობლოსკენ. გაზეთების ცნობით სავაჭრო წყალქვეშა ნავი საჭირო სამხედრო მასალას წამოიღებს, თანმხლები სამხედრო ნავი კი გზა და გზა ინგლისელების გემებს დაჰღუპავს.

ლამანშის ბრძოლა.

მკითხველს ეხსომება, რომ ატლანტის ოკეანის სრუტე ლამანშში, რომელიც საფრანგეთს ინგლისისგან ჰყოფს, ამ რამდენიმე დღის წინად მოულოდნელად გერმანული ნაღმოსნები გაჩნდნენ და ინგლისის ფლოტს თავს დაესხნენ. ეს თავდასხმა დიდი თავხედობა იყო, მიტომ რომ ლამანშით ინგლისს თავის ჯარი გადაჰყავს და ეს სრუტე ძლიერ გამაგრებულია. ინგლისელი სამხედრო მიმომხილველნი თურმე სცნობენ ამ თავდასხმის მოულოდნელობასა და გამბედაობას და ამტკიცებენ, რომ მზვერავი გემების გაძლიერება და ახალი ნაღმების ჩაწყობაა საჭიროო.

ომის ხანგრძლივობა.

ბოსტონში შეერთებული შტატის პარიზელ ელჩს სიტყვა წარმოუთქვამს, რომელშიაც სხვათა შორის ომის ხანგრძლივობას შეხებია. ელჩს უთქვამს, რომ მოპირდაპირეთა ძალა დიდს ხანს თანასწორი დარჩება და ამიტომ იმედი არ უნდა ვიქონიოთ, რომ მსოფლიო ომი ჩქარა გათავდებაო. მაგრამ რადგან შეთანხმების სახელმწიფოების ძალები მატულობს, გერმანეთისა და მისი მოკავშირეებისა კი ერთს წერტილზეა გაყინული, ბოლოს ალბათ მაინც გერმანეთი დამარცხდებაო.

საფრანგეთის წყალქვეშას დაღუპვა.

„მონიტორ დე ლა ფლოტ“-ში მოთავსებულია ცნობა საფრანგეთის წყალქვეშა „ფუკო“-ს დაღუპვისა. „ფუკო“ ადრიატის ზღვაში სდარაჯობდა მტრის გემებს. ენკენისთვის პირველებში მას ავსტრიელების ჰიდროპლანი შეებრძოლა და დაჰღუპა კიდეც. ჰიდროპლანი სწრაფად დაეშვა ზღვაზე, „ფუკო“-ზე მყოფნი 2 აფიცერი და 27 მეზღვაური შეიხიზნა. მერე უმავთულო ტელეგრაფით დაიბარა ნაღმოსანი, რომელმაც მეზღვაურები წაიყვანა. ტყვე აფიცრები კი ჰიდროპლანით მიიყვანეს ნაპირამდე. ეს პირველი შემთხვევაა, რომ საფრენ მანქანას წყალქვეშა დაეღუპოს და ამავე საფრენით დაღუპულ ნავიდან ხალხი გადაერჩინოს.

მაკენზენის გეგმა.

„დენ“-ის აზრით დობრუჯაში საქმის მოთავების შემდეგ მაკენზენი, რა თქმა უნდა, გულხელ დაკრეფილი არ დარჩება. იგი ან დუნაის გადალახავს, რათა ბუქარესტისაკენ სამხრეთ-დასავლეთის მხრივ შეუტიოს ან კიდევ ჩრდილოეთისაკენ უკან დახეულ მოკავშირეთა ჯარს ფეხდაფეხ გაჰყვება და ბესარაბიაში შეიჭრება.

რუმინეთის ბედი

„დენ“-ის სამხედრო მიმომხილველი ს. დიმიტრიევი არსებითად ეხება რუმინეთის ასპარეზს და სწერს: გირსოვოს აღების შემდეგ, დობრუჯაში მოქმედება დასცხრა, რადგანაც მოპირდაპირეს გირსოვოს დაპყრობით მდ. დუნაის გაღმა გადასვლა ჩერნოვოდთან თუ კი მოისურვებს, უზრუნველყოფილია. ბულგარეთის სადარაჯოდ კი ჩერნოვოდ-კონსტანცის ხაზი სრულებით საკმარისია. დობრუჯაში, კიდევ ჩრდილოეთით წინსვლას მხოლოდ მაშინ ექნებოდა აზრი, რომ მოპირდაპირეს მიზნად დაესახოს დობრუჯის აღება და არა დუნაის გადასერვა. ასე რომ არ იყოს ბულგარელები და ოსმალები თავის უპირატეს მდგომარეობას გამოიყენებდნენ და რუს-რუმინეთის ჯარს დუნაის გაღმა ჩრდილოეთით გადარეკდნენ, სანამ მაშველი ჯარი მიუვიდოდათ მათ ჩვენი სამხრეთ-დასავლეთის ასპარეზიდან. რაკი ეს არ მოხდა, სჩანს მოპირდაპირე დუნაის გაღმა გასვლას აპირებს. ცხადია, რუმინეთში თავმოყრილ ჯგუფებათ შეჭრა მორიგი საქმეა და მოპირდაპირეს გუნებაში სწორედ ესა აქვს.

იგივე გადაწყვეტილება გამოსჭვივის მოპირდაპირის დაუცხრომელ მოქმედებიდან ტრანსილვანიაში. აქ თუ რაიმე ბედის ცვალებადობა და სასწორის რყევაა მხოლოდ კარპატების ადგილ-მდებარეობის მეოხებით, სადაც ეხლა ბრძოლაა გაჩაღებული. მთელი ეს მიდამო, რომელიც დასავლეთით მოლდავიას ერტყმის და ჩრდილოეთით ვალახიას, ჩრდილოეთისაკენ არის გადაჭიმული მდ. ბისტრიცა ველამდე და მერე ისაზღვრება ქალაქ ოკნა-პოსნა-ვოლენო-კიმასლუნგის ხაზით.

ბუკოვინიდან ვალახიაში შეჭრილი კარპატის მთების სიმაღლე 4500—5000 ფუტს (7 ფუტი ერთი საჟენია) უდრის, ხოლო ზოგიერთა მწვერვალი კი 6500 ფუტიცაა. აქ ქედი ვიწროა, სულ 15 ვერსამდე იქნება სიგანით, მეტად კლდე-ღრიანი, ტყით შემოსილი, ნაპრალებით სავსე, სადაც ჩამოქუსს დაქანებული მთის ჩანჩქერები. პატარა მდინარე ბიკაზის ველს რომ მიუახლოვდებით, მთები უფრო მაღლა იწევს და ზოგი მწვერვალი 7000 ფუტამდე აღწევს. მთელი ეს მიდამო, მდ. ბიკაზამდე, უგზოობის გამო ყოვლად მიუვალია. აქ ჯარს მხოლოდ ორის გზით შეუძლიან მოძრაობა: ტოლდეშის შარა-გზით და მდ. ბიკაზის დასწვრივ საურმე გზით. მშვიდობიანობის დროს ეს შარა-გზა საუცხოვოდ იყო შენახული და ალბად ჯარის მოძრაობისათვისაც გამოსადეგი იქნება ყოველ დროს და ყველა იარაღის გასატარებლად, თუნდამაც მძიმე ზარბაზნებისათვის. საურმე გზით ყოვლად შეუძლებელია საველე ზარბაზნების გადატანაც კი ზაფხულობითაც. ეხლა ხომ ქვეითა ჯარისა და ცხენოსანის გასატარებლადაც ვერ გამოდგება.

მდ. ბიკაზის ველიდგან მდ. ტროტუსის ველამდე მთები მკლავებს ჰშლის და უმთავრესი ქედი სიგანით 30—35 ვერსზეა გადაჭიმული. ესე იგი ორი მუხლი გზაა. ეს ქედი და მისი კალთები მოძრაობისათვის შეუფერებელია. ამ მიდამოში არც გზებია, არც საიერიშო გასაქანია ქედის ასაღებად.

ტროტუსის ველიდან ოიტისის სამთო გზამდე მთები დაბლდება, რომელიმე მწვერვალი თუ აღწევს 5000 ფუტს, ფერდობები ისე დაქანებული არ არის, ტყე თხელდება; საერთოდ ეს მიდამოები უფრო ადვილი მისადგომია და გზებიც მრავალი აქვს: აქ არის სამი გზატკეცილი, ერთი რკინის გზა, ორი საურმე და რამდენიმე საცალფეხო. რკინის გზა ჩიკ-სერედიდან დვიმეშ-პალანკაზე მიდის გზატკეცილი სას-გეგენიდან ტოპლიცა-დიერდიობორზეკ-ტოლდოიშეზე, ჩიკ-სერედიდან სეპვიც-დვიმეშ-პალანკაზე და ჩიკ-სანმარტონიდან დარმანეშტისაკენ მდ. უზის ველით.

ოიტოს მთის გზა უფრო ადვილი მისადგომია ტრანსილვანიის კარპატებში. ტრანსილვანიის მხარეს იშლება ვრცელი კრონშტატის ველი, რომელიც ღრმად არის შეჭრილი ტერეშვარის მთებში.

კრონშტატის ველი საუცხოვო გაშლილი ადგილია, სადაც ავსტრიელები რუმინეთში შესაფევ ჯარს თავისუფლად ატრიალებენ. აქედან გზებით იქსელება ბუზეოს და პლოეშტი-ბუქარესტის გზები: პლოეშტში მიდის რკინის გზის ლიანდაგი ბრაშოვ-პრედეალ-პლოეშტი-ბუქარესტი; გზატკეცილი—გოსცუფალუ მრატოჩის უღელტეხილი,—მონასტირი-ჩეპა-ვალენი-დე-მუნტე ბრაშოვ-სატულუნგ-უხლტეხ პერედელუნგ-ტეშილა-კამარნიკი. ბუზეისაკენ მიდის შარა გზა პრასმარიდან ბოძანეხო-აშის უღელტეხილზე. არის კიდევ ონეშტისაკენ მიმავალი გზა ოიტოსიდან, კიმოლუნგისაკენ მიმავალი ბრაშოვოდან ბრან და რუკარის გადასერვით.

გერმანშტატიდან მიმავალი ერთი გზატკეცილი როტერტურმას გადასერავს და ვინენი-რიმნიკვილჩასაკენ მიდის, ხოლო მეორე გზა პეტროშენიდან ვულკან-ტიგრუ-ჟიუ-კრაიოვისაკენ მიდის.

ყველა ზემო აღნიშნულის გზებით შემოიჭრა მოპირდაპირის ჯარი. ცხადია, რუმინელები ყველგან თუ შეეცადნენ მტრის მოგერიებას, ვერაფერს გააწყობენ, რადგანაც მტერზე გაცილებით ნაკლებ ჯარს ამით დაქსაქსვენ. საერთოდ მთის საცალფეხო ბილიკებსა და ხეიმებში მოგერიების წარმოება სახიფათოა. უმჯობესია ხეობებს გასცილდეს მომგერიებელი და მთის კალთებთან გამოსავალ გზების ყელში რაზმ-რაზმად ეკვეთოს ხეობის პირში გაუშლელად მომავალ მტერს. როგორც სჩანს რუმინელებიც ასე მოიქცნენ.

ჯერ ნათლად არ არის გამორკვეული ავსტრიელების მთავარი გეგმა, თუ ნამდვილად საით მიჰმართავენ უმთავრეს ძალებს. ჩვენის აზრით მოპირდაპირე უმთავრესის ძალებით წამოვა ვალახიასა და მოლდავიის შუა მდებარე ფოკშანის ველით.

ეს ველი გაჭიმულია მდ. სერეტას ბოლოზე და იმ ადგილს, სადაც მას მდ. მილკოვის ტოტი ერთვის, დიდი სამხედრო მნიშვნელობა აქვს, რადგანაც მოლდავიიდან ვალახიისაკენ მიმავალი გზები სწორეთ აქ ჯვარედინდებიან და ბუქარესტისაკენ მიიმართებიან. თუ ავსტრიელებმა აქ მოახერხეს ბრძოლის ხაზის გაჭრა, მაშინ რუსეთის საზღვრებიდან მაშველ ჯარისა თუ სურსათის მიღების საშუალებას მოუსპობენ რუმინელებს. ამავე დროს გალაც-ფოკშანის გამაგრებულ ხაზსაც ზურგით მოექცეოდნენ, რუსეთის საზღვრებს დაემუქრებოდნენ და დობრუჯაში მომქმედ მოკავშირეთა ჯარსაც ზურგიდან დაემუქრებოდნენ.

ამის გარდა ფოკშანის ველიდან ავსტრიელებს ადვილად შეეძლოთ ვალახიის დაბლობებში გასვლა.

ფოკშანის ველში შეჭრა და ბუქარესტისაკენ გზის აღება მით უფრო მოსალოდნელია, რომ ჩერნოვოდიდან მაკენზენის სვლას [illegible] მოლდავია-ვალახიის [illegible] ბული ბრძოლა რუმინეთის ჯარს დაქსაქსავს და ავსტრიელებს საშუალებას მისცემს ბუქარესტისაკენაც ერთბაში იერიშები მიიტანონ. ამ სახით, ავსტრიელთა განზრახვაა ასეთის მოქმედებით რუმინეთის ფოკშანის ველის სამხრეთ დასავლეთით მყოფი ჯარი მთლად მოიმწყვდიოს.

ამავე მიზნით არის გამოწვეული რუსეთის სამხრეთ-დასავლეთის ასპარეზზე მტრის შემოტევა. ამ იერიშების მიზანიც იგივეა, რაც ტრანსილვანიისა: რუსეთ-რუმინეთის ჯარი და გულისყური აარიდონ იმ მთავარ ადგილს, სადაც გადამწყვეტ შეტევას აპირებენ.

უკანასკნელი ცნობები

რუსეთისა და პოლონეთის აქტი

პეტროგრადში შესდგა მინისტრთა კერძო თათბირი. სასურველად სცვნეს, რაც შეიძლება მალე გამოქვეყნებულ იქმნას პოლონეთის შესახებ აქტი.

საქალაქო რეფორმა

საშინაო საქმეთა მინისტრი ქალაქთა წარმომადგენლების თათბირს იწვევს საქალაქო რეფორმის პროექტის განსახილველათ.

პროგრესისტები და არჩევნები სახელმწიფო საბჭოში

თ-დ აბხაზის, გრაფ მუსინ-პუშკინის და გრაფ უვაროვის არჩევას სახელმწიფო საბჭოს წევრებად პროგრესიული ჯგუფის დიდ გამარჯვებად სთვლიან.

პოლონელთა მაშველი ჯარი

სატახტო გაზეთებს ატყობინებენ: პოლონეთის მომავალი ჯარი ალბათ შესდგება იმ ლეგიონებისაგან, რომლის მართველები დღეს ავსტრია-უნგრელი პოლონელებია. რადგანაც აფიცერთა შორის ძალიან ცოტაა რუსეთის პოლონელი, იბადება კითხვა: ვინ უნდა იუფროსოს. ეგვს გარეშეა მოწვეულ იქმნებიან გერმანელ-ავსტრიელი ოფიცრები. პოლონელ ჯარს არ ეყოლება თავისი შტაბი, არც არტილერიის აფიცრები, არც სპეციალი ინჟინრები, და იძულებულნი იქმნებიან უცხოელნი მოიწვიონ. ამ გვარად, უსათუოდ სათავეში გერმანელები ჩაუდგებიან.

რუმინიის ასპარეზზე

„რეჩის“ სამხედრო მიმომხილველი სწერს: რუმინეთის ფრონტზე, გარდა იმ დიდის ძალეებისა, ჩრდილოეთ ტრანსილვანიის მხარეზედ რომ მოქმედებენ, კიდევ გროვდება გერმანელი ჯარები. სამხრეთ დუნაის ფრონტზედ ძლიერდება მაკენზენის ჯარი, რომელიც დუნაიზე ხადასვლას ლამობს, ბუხარესტზედ დასაცემად, სამხრეთის მხრივ, მაგრამ ძალიან ხელს უშლის რუსეთის და რუმინეთის ჯარის მარჯვე მდგომარეობა.

ახალი ამბავი

სასახლეში.

◆ **მეფის ნაცვალს სადარბაზოდ** წარუდგა ოსმალეთში დაპყრობილი ადგილების გენ.-გუბ. ნ. ნ. პეშკოვი.

◆ **მეფის ნაცვლის მოწოდება.** მათმა უმაღლესობამ მეფის ნაცვალმა დიდმა მთავარმა ნიკოლოზ ნიკოლოზის ძემ მოწოდებით მიმართა კავკასიის ხალხს სახელმწიფო სესხზე ხელის მოწერის შესახებ.

ქართული დაწესებულებანი.

◆ **აჭარლების და ლაზების დახმარება.** სოხუმის ქ. საქვ. საზ. რაიონულ განყ. გამგეობამ აცნობა მთავარ გამგეობას, რომ განყ. გამგეობამ სცნო თავის მოვალეობის დაუყოვნებლივ მიიღოს მონაწილეობა აჭარელ და ლაზების დახმარებაში დიად საქმეში შემდეგის საშუალებით: ამ ჟამად სოხუმში მოიპოვება მრავალი სამუშაო საქმეები, როგორც ქალაქის თვითმართველობაში აგრეთვე ნავთსადგურში (გემების დატვირთვა-დაცლის საქმეები). ამიტომ სთხოვს დაუყოვნებლივ იქმნას გამოგზავნილი სოხუმში ასამდე აჭარელი და ლაზები, ამ სამუშაოსათვის გამოსადეგნი.

◆ **ართვინის განყოფ.** ახლად არჩეული გამგეობის წევრები ქ. საქვ. საზ. მთავარ გამგეობამ დაამტკიცა.

◆ **წლიური კრების ანგარიში** და სია ქ. საქვ. საზ. წევრთა მთავარ გამგეობამ წარუდგინა თბ. გუბერნატორს საცნობად.

◆ **ქუთაისის სკოლის ქართვ. მაჰმადიან მოწაფეთათვის ქარ. საქველმ. საზ.** გამგეობამ დაადგინა გაეგზავნოს ქართული სახელმძღვანელოები: „დედა ენა“ ი. გოგებაშვილისა 1 და 2 ნაწილი.

◆ **სოხუმის რაიონულ განყ.** ქარ. საქვ. საზ. გამგეობამ აცნობა, რომ საზოგადოების წესდების ძალით 2 წევრი კიდევ უნდა აირჩიონ გამგეობაში.

◆ **ცეცხლისაგან დაზარალებულ** ფშაველების სასარგებლოდ ქ. საქ. საზ. გამგეობამ თიანეთის რაიონულ განყოფილებას გაუგზავნა 600 მანეთი.

◆ **ხ. თოკის სკოლაში** ქ. საქ. საზ. გამგეობამ რიფსიმე კვირკველიასი დანიშნა მასწავლებლად.

◆ **სკოლა ხევსურეთში.** ხევსურეთში სკოლის დაარსების საქმე ქართ. საქველმოქ. საზ. გამგეობამ გადასცა განსახილველად თიანეთის რაიონულ განყოფ. გამგეობას, რომელმაც თავისი დასკვნა უნდა წარმოუდგინოს გამგეობას—სად და რა ტიპის სკოლა უნდა დაარსდეს ხევსურეთში.

◆ **თბ. გუბ. თავად-აზნაურთა კომიტეტის ხაზინადარი გენ.-მ. თ-დი** ი. რ. მაყაშვილი დღეს 29 ღვინობისთვეს მიემგზავრება გორის მაზრაში ომში გაწვეულთა სოფლელთა ოჯახების მდგომარეობის გამოსაკვლევად, ადგილობრივ.

მთავრობის დაწესებულებანი

◆ **ფულის მოგროვება.** თბილ. გუბერნატორმა ნება დართო ომში დაზარალებულთა მზრუნველ ცენტრალურ კომიტეტს 12 ქრისტეშობისთვეს მეომართათვის თამბაქოს სასყიდლად ქ. თბილისში ყულაბებით ფული მოაგროვოს.

◆ **სენატორი პ. ნ. მილიუტინი,** რწმუნებული მეფის ნაცვლისა უმაღლეს სახელმწიფო დაწესებულებებში, პეტროგრადს გაემგზავრა.

◆ **შავი ქვის მადნის დამუშავება.** მეფის ნაცვლის საბჭომ ნება დართო ვ. გ. გიორგაძეს შორაპნის მაზრის სოფ. ზედ-რგანში გამოკვლევანი მოახდინოს შავი ქვის მადნის დასამუშავებლად.

ქალაქის დაწესებულებანი.

◆ **დაჭრილთა დამხმარე კავკ. კომიტეტმა** ორთოპედიულ ქირურგიულ კურსებზე, რომელიც მოსკოვში არსდება რუსეთის ქალაქთა კავშირის ცენტრალურ კომიტეტთან, გაიგზავნა ექიმი მგალობლიშვილი.

◆ **თათბირი საკვებზე.** ხვალ, 30 ღვინობისთვეს, დანიშნულია ქალაქის საკვებავი თათბირი, რომელიც განიხილავს მეფის ნაცვლის საბჭოს წევრის პროტასიევის მიერ აღნიშნულ დეფექტებს.

◆ **ერბოს საკითხი.** თბ. ქალაქის გამგეობამ შუამდგომლობით მიმართა კ. ი. შაშკოვსკის ციმბირიდან ერბოს გამოწერის შესახებ.

◆ **თბილისის მეკანდიტერებმა** ქალაქის გამგეობის წინაშე შუამდგომლობა აღძრეს მესამე შემნახველ-გამსესხებელ ამხანაგობაში ჩაწერონ წევრად და ფქვილი მათაც დეეთმოთ. გამგეობამ დაადგინა, ჩასწერონ იმ პირობით, რომ არ წაიღონ ისეთი ფქვილი, რომლისგანაც ჩვეულებრივი პური ცხვება.

◆ **ნიხრის დაკლება პურზე.** ქალაქის პურის მცხობელებმა შუამდგომლობა აღძრეს გამგეობის წინაშე პურზე ნიხრის მომატების შესახებ. გამგეობამ პირიქით დაადგინა, მიენდოს ქალაქის სამეურნეო განყოფილებას შეიმუშაოს პურზე დაკლების ნიხრი.

◆ **პურის საკომისიოდ გაყიდვა.** ქალაქის გამგეობამ დაადგინა მოაწყოს პურის ვაჭრობა საკომისიოდ ქალაქის ცენტრალურ ფურნიდან. კომისიონერებს პური 15 პროც. დაკლებით მიეცემათ.

◆ **ქალაქთა კავშირის** მთავარრწმუნებულის ამხანაგმა პროფესორმა კიზკინმა აცნობა კავშირის კავკასიის განყოფილების თავმჯდომარეს ა. ი. ხატისოვს, რომ ამ დღეებში 2 მილიონ მანეთს გამოგვზავნით კავშირის დაწესებულებათა ხარჯების გასაძლოლადო.

◆ **ქალაქის ლაზარეთში** მხოლოდ ორი ხოლერიანი დარჩა. ქუნთრუშიანი არის 240, სახადიანი 78 და საოფლიანი 355 კაცი.

სასულიერო უწყებაში.

◆ **საქართველოს ეგზარხოსი** ფინანსთა მინისტრის ამხანაგმა სენატორ ჩაპლინმა ინახულა.

◆ **გაჭირვებულ სემინარიელთა** დასახმარებლათ საქართველოს ეგზარხოსმა სემინარიის რექტორს 1000 მანეთი გადასცა.

◆ **მცხეთის სამთავრო დედათა მონასტრის** მოძღვრად დაინიშნა მღ. გოგნიაშვილი, შულავრიდან.

სხვა და სხვა ამბები.

◆ **თ-დ კონ. აფხაზის არჩევის** გამო პეტროგრადიდან გენერალ გ. ყაზბეგს შემდეგი დეპეშა მოუვიდა: ვიცით თქვენი მუდმივი ნატვრა ყოველს გარემოებაში თქვენთვის ძვირფას საქართველოსა და იმდენადვე ძვირფას დიად რუსეთის მჭიდრო კავშირისა და ბედნიერნი ვართ გახაროთ თქვენ, ჩვენს უძველეს თავადთაგანს, რომ სრულიად რუსეთის ამომრჩეველთა პროგრესიული ნაწილი, სათათბიროს თავმჯდომარის მონაწილეობით, თუმცა თავისუფალი იყო მხოლოდ სამი ადგილი, პირველ კანდიდატად სახელმწიფო საბჭოს წევრობაზე დაასახელეს ჩვენის ტრადიციებით უფროსი წინამძღოლი თბილისის გუბ. ქართველ თავად-აზნაურობისა და ამომრჩეველთა მთელი კრებულის ძლიერის ტაშის ცემით სახელმწიფო საბჭოს წევრად აირჩიეს თ-დი კონსტანტინე ნიკოლოზის ძე აფხაზი. სრული რწმენით ვაცხადებთ, რომ სახელმწიფო საბჭოში მეორე ადგილის დათმობის დროს ამომრჩეველთა ყრილობას მხედველობაში ჰქონდა საჭიროებანი ამიერ-კავკასიის სხვა გუბერნიებისა და ოლქებისა, რომელთაც ჯერ თავისი წარმომადგენელი არა ჰყოლიათ ზედა პალატაში.

თავად-აზნაურთა წინამძღოლნი:
თ-დი ნიჟარაძე, თ-დი ჩოლოყაშვილი და თ-დი ოთარ დადეშქელიანი.

◆ **ქურდი სახელმწიფო ბანკში.** სახელმწიფო ბანკის თბ. კანტორაში შეიპყრეს და პოლიციას გადასცეს გამოურკვეველ ხელობის კაცი, რომელიც ბანკის კლიენტის, გ. ს. გრიგოლოვის, გვერდზე მდგარი აპირებდა 2000 მანეთის ამოცლას, მაგრამ გრიგოლოვს შეენიშნა დროზე. უცნობი პოლიციის ცნობით აღმოჩნდა ვ. ვ. ჩეპუროვი.

◆ **ხორბლის გაჭირვება.** გორისა და თბილისის მაზრების გლეხები თითქმის მუდამ დღე ემუდარებიან ქართულ საქველმოქმედო საზოგადოებას მიაწოდოს მათ ღირებულ ფასებში ხორბალი და სიმინდი. საზოგადოების მთავარმა გამგეობამ 20 ვაგონი სიმინდი შეუკვეთა ქუთათურ კოოპერატივ „რეგულიატორს".

◆ **აფერისტი.** ქურდობას ეხლა ზედ აფერისტობაც დაერთო ქალაქში. 24 ღვინობისთვეს დილა ადრიან თბ. პ-ლეს ეკლესიის წინამძღვარს ი. შ. ეწვია პრაპორჩიკის ფორმაში გამოწყობილი სუფთად ჩაცმული ყმაწვილ კაცი ასე 25 წლისა და ინჟ. ვ-ფის გვარით გეეცნო და აუწყა რომ მას სამხედრო საკვებ საწყობიდან მისაღები აქვს 2 ფუთი შაქარი გირვანქა 19 კაპ. და 1 ფ. კარაქი გირვანქა ათ-შაურად. როცა მოძღვარი განცვიფრდა ამ ფასებით უცნობმა განუცხადა, რომ ამ დღეებში მთელ ქალაქის სამღვდელოებასაც მიეცემა ამავე საწყობიდან საკვები საგნებიო. მასთან ერთად ანიშნა, რომ თუ მას არ სცალიან „დენშჩიკის" ხელით გამოუგზავნის ნავაჭრს თუ წინასწარ ფულს უბოძებს. საეჭვო ფასებმა და საუბარმა შეაფიქრიანა მოძღვარი და მეორე პირს მიანდო მისვლა ამ მაღაზიაში—საქმის გაგება, ფულის მიცემა და საქონლის წამოღება ნაშუადღევის 2 საათზე. მაგრამ უცნობ პირმა დაასწრო ამ კაცს, ნაშუადღევის 1 საათზე გამოცხადდა მოძღვართან და აუწყა, რომ საქმეში ვიყავ გართული და ვერ მოვასწრობთ მიღებასაო ასე, რომ ხვალ გამოგზავნეთ ეგ კაცი დილის 10 საათზეო. მეორე დღეს დანიშნულ დროს მოძღვარმა გაგზავნა მაღაზიაში კაცი, მაგრამ იქ არც ინჟ. ვ-ფისი დახვდა და ვერაფერიც მიიღო

◆ **დრამატიულ საზოგადოების** მსახიობთა დასის თხოვნა შესახებ „ახალი კლუბის"-ს დარბაზის დათმობისა საბავშვო წარმოდგენების გასამართად დააკმაყოფილა კლუბის ადმინისტრაციამ. პირველ წარმოდგენას მართავს დასი ხვალ დილით, 30 ამა თვეს. წარმოდგენილი იქნება „პატარა კახი".

◆ **კრების გადადება.** სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების საბჭოს კრება 27 ამა თვეს არ შესდგა წევრთა საკმაო რიცხვის დაუსწრებლობის გამო.

◆ **ს. ხელმწიფო სამხედრო სესხზე** ხელის მოსაწერად გორის მაზრაში გაემგზავრა წვრილ კრედიტის ინსპექტორი ბ-ნი გრიგოლია. თათბირი სესხის ხელის მოწერაზე ქ. გორში დანიშნულია 3 გიორგობისთვეს, ხოლო ცხინვალში 5 გიორგობისთვეს.

◆ **შეღავათის მიცემა.** ჯარისკაცთა შეღავათის გამხილველმა კომიტეტმა გაზეთ „საქართველოს" ერთ ამწყობს პირველ იანვრამდე ჯარში გაწვევის ვადა გაუგრძელა. ხსენებულ შეღავათით გაზეთ „საქართველოს" ცხრა ასოთ-ამწყობი სარგებლობს.

◆ **მოსკოვიდან** გვატყობინებენ, რომ მოსკოვის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე სწავლა დაუსრულებია ჩვენს თანამშრომელს შალვა ტატიშვილს.

◆ **სახალხო და საბავშვო კითხვები.** ხვალ, 30 ღვინობისთვეს, დილის 12 საათზე ქ. შ. წ.-კ. გ. ს. სახალხო კითხვების კომისია გამართავს კითხვებს ბავშვთა და მოზრდილთათვის, ბუნდოვანის სურათებით, წმ. ნიკოლოზის სამრევლო სკოლის შენობაში, (19 თებერვლის ქუჩა). ლექტორად მოწვეულია ი. პ. როსტომაშვილი. შესვლა უფასოა.

◆ **კეთილი საქმე.** ბ. პარმენ მათეს ძე კიკაჩეიშვილი უდროოდ გარდაცვლილ (ქ. ბათუმში) მაშო ზარუბანიას ასულის ტორაძის ცხედრის გვირგვინის შემკობის ნაცვლად ჩვენს რედაქციას უგზავნის 3 მ. და სამ აბაზს და სთხოვს სამი თვით გაზეთი „საქართველო" გაუგზავნოს ქართველ ჯარის კაცებს, რასაც რედაქცია სიამოვნებით ასრულებს.

◆ **ველური საქციელი.** ვაჭართა ბანკის გამგეობას ვიღაც ა. ი. მერაბიანის ვექსილი ნოტარიუსთან გაუგზავნია საპროტესტოთ. ამის გამო მერაბიანმა შური იძია ბანკის დირექტორ მ. ი. ბერბერიანზე. 27 ამა თვეს, ნაშუადღევის 2 საათზე, მერაბიანი შეხვდა ბერბერიანს თბილისის პირველ საკრედიტო საზოგადოების შენობასთან, წააქცია და უმოწყალოდ ცემა დაუწყო. ხალხი ბლომად შეგროვდა, სხვათა შორის, გაჩნდა ბ-ნი ს. ა. ადამოვიც, რომელმაც ძლივს-ძლივობით დაიხსნა ბერბერიანი მერაბიანის ხელიდან.

ქართლი.

— მთელ ქართლში საქონლის ჭირი მძვინვარებს. საბედნიეროთ ამ ჟამათ მთავრობამ გამოგზავნა რვა ბეითალი რომლებიც საქონელს უცრიან ჭირის საწინააღმდეგო ჩირქს.

— კასპის უბნის (რომელშიაც დუშეთის მაზრის ნაწილიც შედის) მირაბმა თავ. დ. ამილახვარმა შუამდგომლობა აღძრა, ჯარში არ გაიწვიონ მისი ხელქვეითი მოსამსახურენი ლურჯ და თეთრ ბილეთიანები, რიცხვით 60 კაცი. გორის მაზრის უფროსი ბ-ნი ხრუშჩევი თ. ამილახვარს დაჰპირდა შუამდგომლობას დავიცავო.

სასურსათო აურ-ზაური

მინისტრთა კაბინეტში დიდი აურზაურია სასურსათო საკითხის გარშემო.

როგორც გაზეთები გადმოგვცემენ, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს უსაყვედურეს უმოქმედობა უსაჭიროეს საკითხში და ოთხივე მინისტრის ხელშიაც არის ამ საკითხის მოგვარება, ერთი-მეორეს შეედავა.

მიწათ მოქმედებისა გრაფი ბობრინსკი,

ვაჭრობა-მრეწველობისა თ-დი შახოვსკი,

საშინაო საქმეთა—ა. დ. პროტოპოპოვი,

საგზაო მინისტრი ა. ფ. ტრეპოვი.

ოთხი მინისტრი ერთმანეთს ასწრებს პროექტების წარდგენას და ოთხივე ერთი მეორეს პროექტებს იწუნებს.

მაგრამ ამ ოთხში სამი უკვე ძველია, მათ განვლეს მინისტრობის მინიმუმი და ხანში შესულთა რიცხვში აღინიშნენ.

მთავრობამ და საზოგადოებამ სათანადოდ გაიცვნეს ეს მინისტრები.

საქმე ახალი მინისტრია.

ა. დ. პროტოპოპოვი.

მინისტრ-დეპუტატი.

უკვე ორი თვეა, რაც პროტოპოპოვი დასცილდა თავრიდის სასახლეს და ბრწყინვალე კაბინეტში შევიდა.

მას აქეთ მისი სახელი არ შორდება გაზეთის ფურცლებს.

ამაყი ჟესტები და მოსწრებულნი განცხადებანი მეგაზეთეებს დიდ მასალას აძლევენ; და რუსულ გაზეთებს ყოველ დღე ახალ-ახალი ცნობები მოაქვთ პროტოპოპოვისაგან, პროტოპოპოვის შესახებ.

ახალ-ახალი სენსაციები.

მისი სახელი მკვიდრდება, ყველა მის შესახებ ლაპარაკობს.

ყველაზე საჭირო და მნიშვნელოვანი საკითხი დღეს სურსათის საკითხია.

ვინ უნდა მოაგვაროს იგი?

ბობრინსკიმ?

შახოვსკიმ?

ტრეპოვმა?

არა.

ისინი უკვე გამოცდილნი არიან. მათ უკვე იცნობენ.

ა. დ. პროტოპოპოვმა.

ყრფილმა დეპუტატმა.

სათათბიროს თავმჯდომარის თანაზიარმა,

ცნობილმა საზოგადო მოღვაწემ,

ვაჭრობა-მრეწველობის ბურჟმა.

და იგიც წარსდგა პროექტით.

თურმე სასურსათო საქმე არც ისე ძნელი მოსაწყობი ყოფილა.

საკითხი მხოლოდ იმით რთულდება, რომ მრავალი მზრუნველი ჰყავს ამ საქმეს და არც ერთი პატრონი.

როცა ერთი მამა მზრუნველი გაჩნდება, ყველას საკმაოთ ექნება:

პური,

ხორცი,

შაქარი

და ყოველივე, რაც დღეს ძილს აფრთხობს და მოსვენებას შეუძლებლათ ქმნის.

თქვენ არა გჯერათ?

ასე ამბობს ა. დ. პროტოპოპოვი.

შინაგან საქმეთა მინისტრი.

რა ნება გვაქვს არ დაუჯეროთ?

როცა საქმე მის ხელში გადავა, იგი მოიწვევს გუბერნატორებს, საკანცელარიო მოხელეებს.

გაადიდებს პოლიციელთა რიცხვს.

იქნებ ვინმემ სთქვას.

რა დამოკიდებულება აქვს პოლიციელს პურისა და ხორცის საქმის მოწყობაშიო!

ისინი უაღრესად დაინტერესებულნი არიან ამ საქმეში.

თუ ხალხი მაძღარია და არა ჰშია, ის მავნე რასმეს აღარ ფიქრობს.

გაიღვიძებს დილით ადრე. ტკბილათ მიირთმევს ყავას შაქრით და გემრიელ პურით.

შავი პურით კი არა, ღმერთმა დაიფაროს!

ნამდვილ თეთრი პურით, ისეთით, ძველათ რომ იყო.

კარაქითაც და ყველითაც.

თავისუფლათ წავა სამსახურში.

დაღლილი თავისუფლათ ისადილებს, რადგან ყველაფერი თავის წესზე ექნება.

თავისუფლათ მოისვენებს სადილის შემდეგ და მავნე აზრებისათვისაც დრო აღარ ექნება.

არა გგონიათ?

წაიკითხეთ მინისტრის მოხსენება და უსათუოთ შეიგნებთ.

თავისდათავათ არც მე მეგონა, მაგრამ მინისტრმა ასე ბრძანა და მეც ვიჯერებ.

მარტო გუბერნატორები ხომ საკმაონი არ არიან ამ რთულ საქმისათვის.

ეს მინისტრმაც იცის და გათვალისწინებულიც აქვს. მაგრამ ერობა ხომ არსებობს.

და თუ არსებობს და მოქმედობს, ამ საქმეშიც უნდა ჩაერიოს.

შეიძლება, ვინმემ იფიქროს, რომ ერობა წინადაც მოქმედებდა ამ საკითხის მოსაგვარებლათ, და მუშაობდა ნაყოფიერადაც, თუ სხვები ხელს არ უშლიდნენ.

რასაკვირველია, მუშაობდნენ და დღესაც მუშაობენ.

მინისტრის აზრით, შემდეგშიაც უნდა იმუშაონ.

მაშ საქმე რა არის?

საქმე ის გახლავსთ, რომ აქამდის თავის ნებით მუშაობდენ და არავინ აიძულებდათ, ემუშავნათ.

შემდეგში უნდა აიძულონ იმუშაონ, ისინი კანონით იქნებიან დაკავშირებულნი ამ საქმესთან, გუბერნატორების მფარველობით.

ვინც აქამდის მუშაობდნენ, ისინი საჭირონი აღარ არიან.

თუ პროექტი მიღებულ იქმნა, მამა—მზრუნველი პროტოპოპოვი ყველაფერს მოაწესრიგებს.

არ იქნება საძებნელი:

არც შაქარი,

არც პური,

არც ხორცი.

ყველაფერი თავსაყრელი იქნება, ოღონდ გაისარჯეთ და იყიდეთ.

თავისუფლად შეგეძლებათ იმუშაოთ, სწეროთ, იკითხოთ.

ყველაფრისათვის იზრუნებს საშინაო საქმეთა სამინისტრო.

მას სათანადო საშუალებებიც აქვს და შესანიშნავი მმართველიცა ჰყავს:

ა. დ. პროტოპოპოვი,—

მინისტრი—დეპუტატი.

ლ. ჯ.

თ. ჟორდანიას გარდაცვალების გამო

სამძიმრის დეპეშები.

ქუთაისიდან. ქუთაისის საეტნოგრაფიო საზოგადოება ჰგლოვობს სამშობლო ისტორიოგრაფისა და დაუღალავ მშრომელის თევდორე ჟორდანიას გარდაცვალებას.

გამგეობა.

—

ლანჩხუთიდან. მწარედ დავსტირი და ვიგლოვ ჩემს ძვირფასს აღმზრდელს და მასწავლებელს, საქართველოს წარსულის იშვიათს მკვლევარს და აწმყოს მოჭირნახულეს, დაუღალავს მშრომელს თევდორე ჟორდანიას. ვსწუხვარ, რომ არ ძალმიძს უკანასკნელი ვალი პირადად მოვიხადო.

მღ. ეპიფანე ჩხაიძე.

—

თბილისიდან. (კასპში განსვენებულის შვილის სახელზე გაგზავნილი): საქართველოს საისტორიო და საეტნოგრაფიო საზოგადოება სამძიმარს გიცხადებსთ საქართველოს ისტორიკოს-არქეოლოგის თევდორე ჟორდანიას უდროვო გარდაცვალებისა გამო.

თავმჯდომ. ექვთ. თაყაიშვილი.

ოზურგეთიდან: ოზურგეთის ქალაქის თვითმართველობა ჰგლოვობს საქართველოს ნიჭიერ ისტორიკოსის თევდორე ჟორდანიას გარდაცვალებას. განსვენებულის ოჯახობას სამძიმარს ვუცხადებთ. ბ-ნ აპოლონ წულაძეს მივანდეთ დასაფლავებას დაესწროს ქალაქის სახელით.

ქალაქის თავი დიმ. ერისთავი.

—

თელავიდან: ვგლოვობ ძვირფას მასწავლებლისა და თანამშრომლის თევდორე ჟორდანიას გარდაცვალებას.

ეპისკოპოსი პიროსი.

—

თბილისიდან: (სოფ. კასპში განსვენებულის შვილის სახელზე გაგზავნილი): ვგლოვობ, მწარედ ვგლოვობ ძვირფას თევდორე ჟორდანიას უდროვო სიკვდილს. ფართო ერუდიციის და დიდის ცოდნის პატრონს, საქართველოს თვალსაჩინო არქეოლოგსს, სამშობლო ენის სერიოზულ მცოდნესა და მკვლევარს ბუნებისაგან მიმადლებული ჰქონდა უსაზღვრო სიკეთით აღსავსე გულიცა და სიყვარული თვისთა მოწაფეთადმი, რომელთაც, სასულიერო სემინარიაში მასწავლებლობისა და სამრევლო სკოლათა მეთვალყურეობის დროს წმინდა მამობრივის მზრუნველობით ეკიდებოდა.

ყოფილი თანამოსამსახურე და პატივისმცემელი **ნიკოლოზ მახათაძე.**

შეცთომის გასწორება: გუშინ ქუთაისიდან გამოგზავნილი ერთი სამძიმრის დეპეშა ხელმოუწერლად დაიბეჭდა. უნდა ეწეროს: **ეპისკოპოსი გიორგი.**

პეტროგრადიდან გამოგზავნილ დეპეშას ქვეშ აწერია: ალექსანდრე ქორქაია. უნდა იყოს: ქორქია.

გასვენების გარშემო.

27 ღვინობისთვეს, საღამოს შვიდ საათზე, ქვაშვეთში ყოვლად სამღვდელო ანტონმა თბილისის სამღვდელოების თანამსახურებით პანაშვიდი გადაიხადა განსვენებულის სულის მოსახსენებლად. პანაშვიდზე ჰგალობდა საფილარმონიო საზოგადოების გუნდი ზ. ჩხიკვაძის ლოტბარობით.

—

განსვენებულის შვილს მრავალი სამძიმრის დეპეშები მოსდის საქართველოს ყველა კუთხიდან.

—

ჩვენის გაზეთის კვირის ნომერში დაბეჭდილი იქმნება განსვენებულის უკანასკნელი ნაშრომი ჩვენებურ ძველებურ წეს-ჩვეულებათა შესახებ.

თ. დ. ჟორდანია როგორც მასწავლებელი

მოგონებანი მისი გარდაცვალების გამო.

თ. ჟორდანიას პირველად შევხვდი ქუთაისში 1879 წელს ქართულ მწერლობაში კარგად ცნობილ მღ. დ. ჯანაშვილის ბინაზე. მე მაშინ სასულიერო სასწავლებელი ახლად მქონდა დასრულებული და თბილისის სასულიერო სემინარიაში ვემზადებოდი. სემინარიაში იმ დროს ინსპექტორად იყო ვინმე კუშინსკი, რომლის სისასტიკე შიშის ზარსა სცემდა არა მარტო სემინარიის მოწაფეებს, არამედ უფრო მომეტებულად სასულიერო სასწავლებლში კურსდამთავრებულებს და სემინარიაში სწავლის გასაგრძელებლად გამზადებულებს. რადგან მეც ერთი ასეთთაგანი ვიყავი, რჩევა-დარიგების მისაღებად შევედი ჩემს ნამასწავლებლარ დიმიტრი ჯანაშვილთან, რომელიც, უნდა ვიცოდეთ, საუკეთესო მეგობარი იყო ყველა თავისი შეგირდისა. დიმიტრი ჯანაშვილთან ჟორდანიას გარდა სხვა ორი-სამი ჩემთვის უცნობი კაცებიც დამიხვდა. მე არც თ. ჟორდანია მენახა წინად. ყველა სტუმართა შორის ჩემი ყურადღება მიიპყრო თავისი გონიერი დინჯი სახით და ღრმა ნაღვლიანი შავი თვალებით თ. ჟორდანიამ. სტუმრებსა და მასპინძელს იმ დროს საუბარი ჰქონდათ ასპინძის ომზე, მაგრამ ცოტა ხნით ლაპარაკი შესწყვიტეს და ყველამ მე დამიწყო მზერა. მე ცოტა შევკრთი, მაგრამ უხერხულ მდგომარეობიდან მასპინძელმა გამომიყვანა. შენ უთუოდ სემინარიაში მიემგზავრები და გინდა გზა დაგილოცოვო,—ხუმრობის კილოთი მითხრა დ. ჯანაშვილმა. მივდივარ, მაგრამ კუშინსკის ძალიან მეშინიან,—ვუპასუხე მე. ყველამ დამამშვიდა. თ. ჟორდანიამ თავზე ხელი დამადო და მითხრა: როგორც ჰქუხს, ისე არა სწვიმს; კუშინსკი არც ისე საშიში კაცია, როგორც ხმა მოდის; შენ გაბედულად იყავი და ფიქრი ნუ გაქვს; მეც თბილისში ჩქარა ვიქნები, სასულიერო სასწავლებელში და ხშირად შემოიარე ჩემთან, ყველაფერში დაგეხმარები, როცა საჭირო იქნებაო.

სემინარიაში მე ჩინებულად ვაჭმარჯვე ყველა საგანში და [illegible] დევაც. თავისუფალ [illegible] დავდიოდი თ. ჟორდანიასთან და მისი რჩევა-დარიგებით არა ერთხელ მისარგებლნია. მაშინ სემინარიაში ის დრო იყო, როცა ერთის მხრივ სასწავლებლის ადმინისტრაცია და მასწავლებელთა კოლეგია (ერთი ორი კაცის გამოკლებით) და მეორეს მხრივ მოსწავლენი ორ მოპირდაპირე ბანაკად იყვნენ გაყოფილი. ადმინისტრაციას და მასწავლებლებს მოსწავლეები არ უყვარდათ, მათს მდგომარეობაში არ შედიოდნენ, თავიანთ მოვალეობას ფორმალურად ასრულებდნენ; სამაგიეროდ შეგირდებიც მტრულის თვალით უყურებდნენ როგორც რექტორს ისე ინსპექტორს, აგრეთვე მასწავლებლებს, არ ენდობოდენ მათ და არა სჯეროდათ რა მათი. ასეთი განწყობილება გრძელდებოდა მთელი წლების განმავლობაში. არა ერთი და ორი ნიჭიერი შეგირდი გამხდარა მსხვერპლი ასეთი დამახინჯებული სწავლა-აღზრდისა.

აი, ასეთ დროს სემინარიაში მასწავლებლად დანიშნულ იქმნა ბ-ნი თ. ჟორდანია. ამბობენ, მოსწავლე საუკეთესო მსაჯულია მასწავლებლისაო. ეს ჭეშმარიტებაა. თ. ჟორდანიამ თავისი მოსწავლეების ნდობა და სიყვარული დაიმსახურა არა მარტო იმით, რომ ის ქართველი იყო, რაიც იმ დროს იშვიათ მოვლენას წარმოადგენდა თბილისის სემინარიაში, არამედ როგორც კარგმა აღმზრდელმა, მოსწავლეების მოსიყვარულე ადამიანმა. მან თავისი გული ერთბაშად გადაუშალა მოსწავლეებს, თავისი კეთილი გრძნობა ყველას აგრძნობინა და ამისათვის მოსწავლეებიც მაგრად ჩაეკრენ მას გულში. სემინარიის კედლებში ახალი სურათი გადაიშალა: მოსწავლეები ადვილად დარწმუნდნენ, რომ თურმე შესაძლებელი ყოფილა მასწავლებელიც კარგი კაცი იყვეს, კარგი მეგობარი და კარგი აღმზრდელი.

თ. ჟორდანიას სწავლების მეთოდი და სისტემაც ახალი გამოდგა. გადაცემა იმისი გარკვეული და მარტივი იყო. იშვიათი იქნებოდა ისეთი შეგირდი, რომელსაც მისი გაკვეთილი კლასშივე არ დაესწავლა. ისეთი შეგირდი სრულებითაც არ ყოფილა ჩვენს ამხანაგობაში, მისი საგანი ზედმიწევნით რომ არ სცოდნოდა. მის გაკვეთილს ყველანი დიდის სიამოვნებით ელოდნენ. თ. ჟორდანია თითონვე უსახელებდა მოსწავლეებს წასაკითხად ისტორიულ-ფილოსოფიურ შინაარსის წიგნებს. მის გაკვეთილებზე ხშირად გონივრული კამათიც იმართებოდა ამა თუ იმ ისტორიულ მოვლენის, ამა თუ იმ საკითხის შესახებ. არ მახსოვს ისეთი შემთხვევა, რომ თ. ჟორდანიას ასეთ კამათის დროს აზრის თავისუფლად გამოთქმის უფლება შეეზღუდოს რომელიმე შეგირდისათვის. ამას თავი ისე ეჭირა, როგორც ამხანაგს და მოკამათეს თავისკენ დაიყოლიებდა ხოლმე თავისი მეტი ცოდნის გამოჩენით და ლოღიკით.

თხზულების წერამ თ. ჟორდანიას მასწავლებლად დანიშვნის დღიდანვე განსაკუთრებული ხასიათი მიიღო. სხვა რომელსამე საგნში მოსწავლის მიერ დაწერილი თხზულება ერთ თაბახს იშვიათად აღემატებოდა. თ. ჟორდანიამ კი სრული თავისუფლება მისცა წერისა შეგირდებს. წყაროებსაც, რომლებითაც მოსწავლეებს უნდა ესარგებლნათ თხზულებების დაწერის დროს, უმეტეს შემთხვევაში თითონვე უნიშნავდა. თხზულებებს არჩევდა კლასშივე. ამ დროს დიდად საინტერესო დისპუტები იმართებოდა ხოლმე კლასში მასწავლებლებსა და მოსწავლეთა შორის. თხზულების ავტორს სრული ნება ეძლეოდა თავისი თხზულება დაეცვა და ამიტომ თითოეული შეგირდი ცდილობდა კარგად შეიარაღებული გამოსულიყო კამათის დროს. ეს კამათი საუკეთესო სკოლა იყო შეგირდების ვარჯიშობისათვის. ყველა შეგირდი ცდილობდა დიდი თხზულება დაეწერა, თავისი თეზისები სხვა და სხვა ისტორიკოსების ციტატებით დაემტკიცებინა. ცოტანი არ იყვნენ ისეთი შეგირდები, რომელნიც თხზულებას 5—6 და 10 თაბახზედაც სწერდნენ. თხზულებების ასე წერამ და გარჩევამ ყურადღება მიიპყრა სემინარიის რექტორის არქიმანდრიტ ჩუდეცკისა და, როგორც ვიცით, ამის გამო საყვედურიც შეხვდა ბ-ნ ჟორდანიას. სიმართლე მოითხოვს ვაღიარო, რომ მე თუ ცოტა წერა ვიცი, ამისი მადლობელი სანახევროდ მაინც თ. ჟორდანიასი უნდა ვიყვე.

იმ დროს სემინარიის ეკლესიაში იმართებოდა კვირა-უქმე დღეობით მოძღვრება („სობესედოვანიე"). სემინარიის ყველა მასწავლებელი ვალდე-

ბული იყო ამა თუ იმ თემაზე მოძღვრება წარმოეთქვა. თემები მომეტებულ ნაწილად იყო რელიგიურ-ზნეობრივი შინაარსისა, ისტორიულ ფაქტებისა და ლოღიკურ დასკვნებზე დამყარებული. თ. ჟორდანიამ ამ საქმეშიაც დიდად ისახელა თავი. მისი მოძღვრება გახდა ნამდვილი ფილოსოფიურ-ისტორიული ლექციები. სხვების მოძღვრებას თუ ხალხი ნაკლებად ესწრებოდა და შეგირდები სავსებით გაურბოდნენ, თ. ჟორდანია როცა გამოდიოდა ხალხით იჭედებოდა. ეკლესია და ყველა მოსწავლე ცდილობდა დასწრებოდა, თუ კი ეკლესიაში ადგილს იშოვიდა. არა მარტო შეგირდებისათვის, არამედ ყველა დამსწრეთათვის დიდი პედაგოგიური და ზნეობრივი მნიშვნელობა ჰქონდა თ. ჟორდანიას ფრიად შინაარსიან და მჭერმეტყველურად წარმოთქმულ მოძღვრებას.

სემინარიის კედლებს გარედ ცხოვრებაში მე არ მოვხვედრივარ თ. ჟორდანიას და ამ მხრივ ვერაფერს ვიტყვი, მაგრამ რაც შეეხება მის მასწავლებლობას, მისი დიდი მადლიერი ვარ და დარწმუნებული ვარ ჩემი ნაამხანაგეებიც სავსებით გაიზიარებენ ჩემს აზრს.

ნაშეგირდალი.

მეორე კრება

კახეთის მცირე ნდობის დაწესებულებათა კავშირის რწმუნებულთა.

კვირას, 23 ღვინობისთვეს, ქ. თელავში მოხდა მეორე კრება კახეთის შემნახველ-გამსესხებელ და საკრედიტო ამხანაგობათა კავშირის რწმუნებულთა. კრება გახსნა კავშირის საბჭოს თავმჯდომარემ ესტატე პაატაშვილმა, მოკლე სიტყვით მიმართა რწმუნებულთ, დაახასიათა ის საპასუხისმგებლო დრო, რომელშიაც უხდება კავშირს მუშაობა და უსურვა კავშირს წარმატება.

კრების თავმჯდომარედ არჩეულ იქმნა ლ. გოგნიაშვილი. პირველ ყოვლისა კრებამ დაადასტურა ახალ ამხანაგობათა მიღება. დამფუძნებლად კახეთის კავშირისა ითვლებიან შემდეგი ამხანაგობანი: 1) თელავისა, 2) გურჯაანისა, 3) ველისციხისა, 4) ბაკურციხისა, 5) კარდანახისა, 6) ვაჩნაძიანისა, 7) ახმეტისა, 8) ყვარ ლისა, 9) ძველი გავაზისა. კრებას არ დასწრებიან ყვარლის და ბაკურციხის ამხანაგობათა რწმუნებულნი. ამ კრებამ მიილო კავშირში შემდეგი ამხანაგობანი:

1) წინანდლისა 25 მ. ათასის ნდობით;
2) შილდისა—40 ათასის ნდობით;
3) ენისლისა—40 ათასის ნდობით;
4) აწყურისა—20 ათასის ნდობით;
5) ერწოსი—20 ათასის ნდობით;
6) კაკაბეთისა—15 ათასის ნდობით;
7) არაშენდისა—10 ათასის ნდობით;
8) საქობოსი—10 ათასის ნდობით;
9) ანაგისა—30 ათასის ნდობით; 10) ბოდბისხევისა—25 ათასის ნდობით;
11) ბოდბისა—20 ათასის ნდობით;
12) ჯუგაანისა—30 ათასის ნდობით;
13) სიღნაღისა—15 ათასის მ. ნდობით;
14) ვაქირისა—40 ათ. მან. ნდობით;
15) შაშიანისა—20 ათ. მან. ნდობით;
16) ფშაველისა—10 ათ. მ. ნდობით;
17) ზემო-მაჩხაანისა, 18) ქვემო-მაჩხაანისა და 19) კელმეჩურისა.

ამგვარად კახეთის კავშირში შედის თითქმის მთელი კახეთის ღონიერი ამხანაგობა, და ეს კავშირი უძრიელეს კავშირად უნდა ჩაითვალოს რუსეთში. არჩევნების შემდეგ კავშირის თავმჯდომარემ ბ-ნმა ლუკაშვილმა გამგეობის სახელით და მღვდ. ციბალაშვილმა საბჭოს სახელით განაცხადეს, რომ რადგანაც იგინი ამორჩეულნი არიან მაშინ, როდესაც კავშირში მხოლოდ ცხრა ამხანაგობა შედიოდა და ეხლა კი კავშირში ბევრი ამხანაგობანი შემოვიდნენ, ამისათვის იგინი ზნეობრივად ვალად სთვლიან თავიანთ თავს გამოუცხადონ, რომ დარჩებიან კავშირის გამგეობაში და საბჭოში, თუ კრება მათ გამოუცხადებს ნდობას.

ბევრი თათბირის შემდეგ გადაწყდა 20 ხმით, 19 წინაალმდეგ მათ გამოეცხადოთ უნდობლობა, და ისინიც გადადგნენ თავიანთ თანამდებობიდან. ამის შემდეგ მოხდა ახალი არჩევნები გამგეობისა ყუთი დაიდგეს: ბ-ნმა ლუკაშვილმა, ქადაგიძემ, მაჭავარიანმა და ევსტაფიევმა. საბჭოში ტყავაძემ, ციბალაშვილმა, ჯანდიერმა, ესტატე პაატაშვილმა და ექიმმა ავალიშვილმა. ლუკაშვილმა მიიღო თეთრი 35 და შავი 7; ქადაგიძემ თეთრი 41, შავი 2; მაჭავარიანმა თეთრი 34, შავი 8; ევსტაფიევმა თეთრი ათი და შავი 33. კ. ტყავაძემ მიიღო თეთრი 28, შავი 15; მღ. ციბალაშვილმა თეთრი 33, შავი 9; სოსო ჯანდიერმა თეთრი 35, შავი 7; ესტატე პაატაშვილმა თეთრი 33, შავი 10; ექიმმა ავალიშვილმა თეთრი 25, შავი 16.

ამგვარად გამგეობაში არჩეულ იქმნენ 1) ბ-ნი დავით ლუკაშვილი; 2) დავით ქადაგიძე და 3) იოსებ მაჭავარიანი. მათ კანდიდატებად ივ. ყიფიანი და გ. ხატისკაცი. საბჭოში 1) ესტატე პაატაშვილი; 2) მღვ. ციბალაშვილი და 3) იოსებ ჯანდიერი.

ამგვარად დასრულდა არჩევნები. კრების უმრავლესობამ, ორმოცდა ორ კაცში ოცდა ხუთმეტმა დ. ლუკაშვილს გამოუცხადა თავისი ნდობა, და არავითარი ყურადღება არ მიაქცია იმ ჭორებს, რასაც ავრცელებენ პრესის თუ ზეპირსიტყვის საშუალებით ლუკაშვილის პირადი მტრები. მეორე დღის კრება მოუნდა იმ საკითხის გამორკვევას, თუ რა და რა საგანი უნდა შევიდეს კავშირის საშუამავლო ოპერაციაში. ბოლოს, კრებამ გამოსთქვა სურვილი, რათა ბ-ნმა ლუკაშვილმა გამოიწვიოს საამხანაგო სასამართლოში თავისი შემკითხველნი, და ამით ბოლო მოუღოს იმ განგაშს, რომელიც მის გარშემო ტრიალებს, რაზედაც დ. ლუკაშვილმა თანხმობა გამოაცხადა.

უმეტესი ნაწილი კრებისა ძლიერ შეგნებულათ და წინ დახედულათ უყურებდა კავშირის განმტკიცების საქმეს. ყველას ეტყობოდა, რომ მათ აინტერესებთ საქმე; დრო არის ერთად მუშაობისა, ერთად შეკავშირებისა; რომ კავშირი არა თუ აორკეცებს ძალებს, არამედ აათასკეცებს დ ამისთანა საისტორიო დროში კერძო უაზრო კინკლაობას არ უნდა ჰქონდეს ადგილი, მაგრამ ორიოდე პირი ისე გაიტაცა ლუკაშვილისადმი სიძულვილმა, რომ მთელი კრება, როგორც ქიზიყელები ამბობდნენ, აწამებს. რა საჭიროა პირადი ანგარიშების გასწორება კრებაზედ და ისიც მაშინ, როცა დრო ესე ძვირად უნდა გვიღირდეს...

ბევრის წვალებისა და ვაი-ვაგლახის შემდეგ იშვა კახეთის კავშირი. ქიზიყი და კახეთი დღევანდლამდე გათიშულნი და თითქმის მტრულ განწყობაში მყოფნი დღეს შეერთდნენ, და თვით ქიზიყმა პირველმა გამოუშვირა კახეთს ამ კავშირში ძმური ხელი. კავშირს ბევრის გაკეთება შეუძლიან, და ვიმედოვნებთ, რომ კავშირის გამგეობა პირნათლად შეასრულებს თავის მოვალეობას.

ნიბლია.

თუშ-ფშავ-ხევსურნი და მათი მტრები ქისტები

(შემდეგი. იხ. „საქართ." 240)

აი ამნაირი ლექსები ბევრია მთაში. გულ-მორეული, დაჩაგრული და ყოველი მხრიდან უმწეო და უპატრონო ჩვენი მთიელი თავის გულის ბოროტს იმაზედა იქარვებს, რომ ყოველ ამნაირ შემთხვევაზედ ლექსს გამოსთქვამს და შემდეგ ნაღვლიანის ხმით ფანდურზედ დამღერის, აქებს და ადიდებს თავის გმირებს, ხოლო წყევა-კრულვით და ზიზღით იხსენიებს თავის დამჩაგვრელ მტრებს.

თიანეთის მაზრაში ქისტები ორ-ალაგას მოსახლეობენ, თვით მთაში—მითხოში და კახეთში—პანკისში. ეს პანკისელი ქისტები გადმოსახლებულნი არიან მითხოდამ და გროზნის ოლქიდან თვით თუშების წყალობითვე, ეგები მშვიდობიან ცხოვრებას და შრომას მიეჩვივნენ და ქურდობა—ცარცვაგლეჯაზედ ხელი აილონ. მაგრამ არა შეჯდა მწყერი-ხესა, არა იყო გვარი მისიო, და აკი პანკისელი ქისტებიც ისევ ქურდ-ბაცაცობას და ყაჩაღობას არჩევენ მშვიდობიან ცხოვრებას. პანკისელ ქისტებს მკვიდრი კავშირი აქვთ მითხოელ და გროზნის ოლქის ქისტებთან, რომელთაც ესენი ინახავენ საყაჩაღოთ გადმოსულებს, გზებს ასწავლიან და ყველა ქურდობა-ყაჩაღობაში ეხმარებიან. მოპარული და მოტაცებული საქონელი მოუდით პანკისში, ზოგი პირ-იქით მითხოში და გროზნის ოლქში გადაუდით, და ზოგსაც პანკისის ტყეებში ჰმალამენ და ელიან პატრონებს, როდის მოვლენ საქონლის დასახსნელადო. განიხრული აქვთ ცხენსა, კამეჩსა, ხარსა, ძროხასა და სხვაში რამდენი გამოართონ და ისე დაუბრუნონ პატრონს, რა თქმა უნდა, შუამავლებად ისევ პანკისელი ქისტები არიან. ამ ზაფხულ და შემოდგომაზედ ისე იყო არეული უცხო ხალხი პანკისში, გეგონებოდათ, თეთრ-გიორგის მლოცავიაო; ჰკითხამდი თუ შენ აქ რა გინდა და ყველასგან მარტო ეს გესმის: მე ცხენები დამპარეს, მე კამეჩები, მე ხარები, მე ძროხები და სხვა, კვალი აქ მოვიდა, გვეუბნებიან, თქვენი საქონელი აქ არისო და ეხლა შუაკაცებს ვეძებთ ქურდებთან მოსალაპარაკებლადო. ამ რიგად ქისტებისაგან შეწუხდნენ მეტის მეტად თუშები და პანკისის ახლო-მახლო სოფლები, რომლებიც სულ მთლად გააცვეს ქურდობა-ყაჩაღობით. აი მარტო თუშების ამ 1916 წ. გაზაფხულს აქეთ ზარალი: 1) ფარსმის მღვდელს პავლე აზიკურიძეს (თუშია) მოჰპარეს ექვსი ძროხა, 2) გასტეხეს ორი ეკლესია ფარსმასა და ნაცახვარში, წაიღეს ყოველივე, რაც კი რამ მოიპოვებოდა, ცარიელა კედლების მეტი აღარაფერი დარჩა, ზარალი უდრის 1000 მ. 3) დაეცნენ ფადო ჯიხოიძეს ცხვრის ბინას და დასჭრეს თვით ჯიხოიძე, 4) კოტე კუნაშვილს გაურეკეს 600 სული ცხვარი, 5) გაცარცვეს ივანე ბართიშვილი და წაართვეს სახელმწიფო თოფი, 6) პირ-იქითში გაცარცვეს ესტო ქაძესი და ივანე კახოიძეს სახლები, ზარალი 1200 მან., 7) ს. ჭონთიოში გაცარცვეს ლაზარე იუკურიძე და წაართვეს 7 ცხენი, 8) იქიდანვე გაიტაცეს 4 ცხენი; 9) იქიდანვე მესამედ წაიყვანეს 6 ცხენი; 10) იქიდგანვე გარეკეს ჩილა ცუხურკაძესი 40 ცხვარი, 11) ალექსი ქაძესი გარეკილია 6 ცხენი, 12) შენაქოდამ გარეკეს 14 ცხენი, 13) შენაქოშივე გასტეხეს იობი კურდღელაშვილის სახლი და წაიღეს 500 მან., 14) ჩიღოდამ მელიტონ ელანიძეს გაურეკეს 30 ცხვარი, 15) 18 თიბათვეს დაეცნენ ივანე აზიკურიძეს, დასჭრეს იგი და წაართვეს 15 ცხენი, 16) მკათათვეში კავკავიდამ მონავლებს დაეცნენ სინიკო იდიძეს და ესტო ქაძეს, იდიძე მოკლეს, ხოლო ქაძე დასჭრეს და წაართვეს 22 ცხენი სიმინდით დატვირთული, 17) დასჭრეს უმარა ზახიძე და წაართვეს 15 ცხენი სიმინდით დატვირთული, 18) ნაქერალში გაცარცვეს იასაული ნიკო შაბალაიძე, წაართვეს ცხენი, რომელსაც პანკისში ყურები დააჭრეს და ასე დამახინჯებული ჩააბარეს პატრონს ბოქაულის წყალობით, 19) ნაქერალშივე გაცარცვეს ივანე გიგნაიძე და ზურაბი კრიტიული, წაართვეს 10 მან. და ორი გუდა ყველი, 20) ნაქერალაში ბაბო დევდარიძეს გაურეკეს ორი ხარი, 21) ქართველებს წყაროვანადამ წაართვეს 30 ცხვარი, 22) დაეცნენ თუშეთიდამ მომავალს ზაქრო გელაურიძეს, მოჰკლეს იგი და წაიყვანეს მისი ოთხი დატვირთული ცხენი და ორი კვიცი, 23) ქრისტო ჯამბრულიძეს მოჰპარეს 1 ცხენი, დაიბრუნა 150 მან., 24) არსენ ქაძეს 1 ცხენი, დაიბრუნა 100 მ., 25) ივანე ოჩიაძეს ქვრივს ტასიას და როსტომ ქავთარაძეს ქვრივს მარიამს—ორი ცხენი, დაიბრუნეს 150 მან., 26) დაეცნენ დავით ბუქიძეს მთიდამ მომავალს და წაართვეს 5 ცხენი, 27) ნაქერალაში გაძარცვეს ათანასე აფთარაული და წაართვეს თოფი და ყათარი, 28) სამსონ ქითიძეს მოჰპარეს 4 ცხენი, 29) სოფლის ხაროვანში მოჰკლეს გაბრო მოზაიძე, 30) დასჭრეს დათხოვნილი სათადარიგო ჯარის კაცი ფილო ბაშინჯრიძე, 31) კოტე თავშერიძეს, ალექსი ცომიკიძეს და სალომე ცომიკიძეს მოჰპარეს თითო ცხენი, 32) დართლოში დიმიტრი ლეკაიძეს მოჰპარეს ცხრა ხარი და ერთი მოზვერი, 33) წიფლოვანაში დაეცნენ ადო ვარდიძეს, წაართვეს ყველ-მატყლით დატვირთული 9 ცხენი და 200 მან. ფული. 34) მიხო იუკურიძეს გასტაცეს 23 ძროხა და ერთი ცხენი, მდევრობის დროს დასჭრეს პეტრე იუკურიძე და პეტრე ითიურიძე, 35) ფარსმიდამ გარეკეს 71 ცხვარი, შინ შენახული საკლავები, 36) ესტო ლაგაზიძეს მოჰპარეს 4 ცხენი, 37) ლეო აბაშიძეს 4 ცხენი, 38) ლაზარე ნაკვეთაურს გაურეკეს 180 ცხვარი, 39) ნიკო ქადაგიძეს 130 ცხვარი, 40) სვიმონ მიქაძეს მოჰპარეს 3 ცხენი, დაიბრუნა 210 მ., 41) გაბრიელ თურქოშვილს 3 ცხენი, დაიბრუნა 210 მან., 42) იობი ბართიშვილს 2 ცხენი, დაიბრუნა 180 მან., 43) ზაქრო შარმაზანიშვილს 1 ცხენი, დაიბრუნა 70 მან., 44) იობი ბაძოშვილს 1 ცხენი, დაიბრუნა 100 მან., 45) შიო სულხანაურს ორი ცხენი, დაიბრუნა 180 მან., 46) მთაში მოჰკლეს დიმიტრი წოტოიძე, 47) 25 ენკენისთვეს ქისტების დიდი ბრბო დაეცა ს. ვესტმოს და მთელი სოფლის საქონელი მთლად გარეკა, დედევანა მდევარი 2 კაცისაგან, რადგან მეტი კაცი აღარ იყო, რომელთაგან ერთი ანდრია ქუიძე მოჰკლეს და საქონელი არხეინად წაასხეს, 48) ს. ბაწარაში გაცარცვეს გიჯურა კრიწნაშვილი, ბეწინა ლაგაზაური და ივანე თალალაური, 49) 20 მარიამობისთვეს ღამე დაეცნენ ალვანის კოოპერატივს, 50) 22 მარიამობისთვეს დაეცნენ ს. მატნის მედუქნეს თადეოზას, 51) ამ სოფლიდანვე გარეკეს 16 სული საქონელი, 52) 8 ენკენისთვეს გაცარცვეს მიხა უშიკიშვილი, 53) 9 ენკენისთვეს ტიტიკო ჩარბოდაშვილი და სხვ. გაცარცვეს. მეტად მძიმე საგონებელში ჩაცვივდნენ ჩვენი მთიელნი. აღარ იციან ვიდას მიჰმართონ საშველად და როგორ დაალწიონ თავი ამნაირ მდგომარეობას; ბევრი მწარე გამოცდილების შემდეგ თუშებმა გადასწყვიტეს თავიანთ თავს თითონვე უპატრონონ, ვინაიდგან პოლიციის მხრით ისინი სრულიად უიმედონი და უმწეონი ყოფილან და არიან დღესაც. მოიფიქრეს, რო რაც კი თუშია დარჩენილი—ბერი თუ ახალგაზდა, შეიყარნენ ერთად და მთელი პანკისის ტყეები დაშინჯონ თავიანთ დანაკარგის საპოვნელად. სწორეთ ამ დროს ქისტებმა თუშებს ცეცხლზედ ნავთი დაუსხეს და 7 ღვინობისთვეს ალვანიდან კობე მურთაზაშვილს ერთი გუთნეული საქონელი მოსტაცეს; ეს საქონელი კახელი კაცისა იყო, რომელიც კობეს ქირითა ჰყვანდა დაჭერილი სამუშაოდ.

ახმეტელი.

(დასასრული იქნება)

საქონლის ჭირი გურიაში და გურულთა დეპუტაცია

ერთ თვეზე მეტია, რაც გურიაში საქონლის ჭირი გაჩნდა და თანდათანობით მთელ გურიას მოედო. ზარალი ძლიერ დიდია. მაგალითისათვის მოვიყვანოთ მარტო ლანჩხუთის საზოგადოება, რომელსაც მთავრობამ დახოცილ საქონელში მცხოვრებთ უნდა უზღოს 40 ათას მანეთზე მეტი. მთავრობა კი თვითეული საქონლის სულზე იძლევა 30—60 მან. ნამდვილად კი საქონელი ღირს ოთხჯერ და ხუთჯერ მეტი. გურიაში კი, ლანჩხუთს გარდა, 24 საზოგადოება სხვა არის, ზოგიერთ საზოგადოებაში მეტი ზარალია. ამას ისიც დაუმატეთ, რომ ზოგი ავადმყოფობით მკვდარ საქონელს მალავს შიშით, სხვებიც არ დამიხოცონო. სენის მოსასპობად მთავრობის ერთად-ერთი ზომა ის არის, რომ ერთი ექიმი-ბეითალი და ბეითალი-ფერშალი ერთგულად დადიან სოფლიდან-სოფელში და ნაჯახით საქონელს ხოცავენ, რაზედაც გურულები მწარედ ოხუნჯობენ: „ნაჯახის ხმარას რა დიპლომი და სწავლა უნდოდაო": ერთის სიტყვით, გურია დღეს დიდ განსაცდელშია; საზამთრო შეშა არავის აქვს დამზადებული, ბაზრებზე შეშა სულ აღარ იშოვება, სადგურებიდან ბაზრებში საქონელი ვეღარ მიაქვთ, სამხედრო შეკვეთა მოიჯარადრეებს ვერ შეუსრულებიათ და სხვა. თუ ასე გაგრძელდა, ავადმყოფისათვის მალე რძესაც ვეღარ ვიშოვით. და თუ რას გვიქადის მომავალი, ეგ ადვილი წარმოსადგენია: თუ კარზე მომდგარ ზამთარს უშეშობით გავუძელით, გაზაფხულზე ყანები დაუთესელი დარჩება და შიმშილით ამოწყვეტა მოგველის. მთავრობისაგან იმედ-გაცრუებული, შეძრწუნებული ხალხი თვით ეძებს გაჭირვებას თავი დაახწიოს: ლანჩხუთის საზოგადოებაში ხმა გავრცელდა, რომ საქონლის ჭირის საწინაღმდეგო წამალი—ასაცრელი ჩირქი იშოვება, ოღონდ მიგნება და გამოთხოვნა უნდაო. ამის გამო გუშინ თბილისში დეპუტაცია ჩამოვიდა, რომელიც სათანადო მთავრობას წარუდგება. მთავრობამ ხალხის სამართლიან თხოვნას ანგარიში უნდა გაუწიოს, თორემ თუ თოვლის მოსვლას ველოდეთ (მაშინ ჭირი იკლებს), შეიძლება მანამდე ჭირი მთელ ქუთაისის გუბერნიას მოედოს.

ა. წ—ძე.

სამეურნეო სკოლა ზესტაფონში

სამშაბათს, 25 ღვინობისთვეს, საღამოს 7 საათზე, ზესტაფონის სამეურნეო ბანკში გაიმართა პირველი კრება საზოგადოებისაგან არჩეული [illegible], რომელმაც იქონია მსჯელობა სკოლის თაობაზე და დიდი ხნის კამათის შემდეგ, ამ ხანად, შემდეგი დადგენილება გამოიტანა: 1) საჭიროა შორაპნის მაზრაში გაიხსნას საზოგადო სპეციალური ტიპის საშუალო სამეურნეო სკოლა უმანის საშუალო სამეურნეო სასწავლებლის მაგვარი, შემდეგის განყოფილებით: მევენახეობა-მეღვინეობა, მებოსტნობა-მებაღეობა, მეაბრეშუმობა, მეფუტკრობა და ხვნა-თესვისა იმ პირობებში, რომლებშიაც მოსახერხებელი იქნება.

სკოლის საარსებოთ: 1) უნდა იქმნეს შეძენილი საქარის სახაზინო ამერიკული ვაზის სანერგის და ხაზინისავე არგვეთის მამულები; 2) უნდა აღიძრას შუამდგომლობა სადაც ჯერ არს ამ მამულების ახლო მდებარე სახაზინო ადგილების მოსაპოებლად სკოლისათვის; 3) ეთხოვოს ქ.ქ. ქუთაისს, ბათუმს და ფოთს შემწეობის აღმოჩენა ამ საქმეში; 4) აგრეთვე მიემართოს ჭიათურის შავი ქვის მრეწველთ თავის მხრით დაეხმაროს ნივთიერად ამ სკოლას; 5) ასეთივე თხოვნები გაეგზავნოს ქუთაისის და სხვა ქალაქების სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო თუ კერძო ბანკებს სუბსიდიისთვის; 6) საზოგადოებამ გამონახოს საშუალება ღვინოზე საფუთო გადასახადის დადგენით; 7) სამიწადმოქმედო დეპარტამენტიც გამოიღებს ხარჯს ამ საგანზე-დაახლოვებით სკოლის ხარჯთ-აღრიცხვის შედგენა ამ ჟამად შეიძლება; ასე რომ რამდენიმე ათასი მანეთია საჭირო. დღევანდელი პირობების მიხედვით, მაგალითად არა ნაკლებ, 64 ათასი მანეთისა დასჭირებია უმანის სკოლას. ამ ხარჯთ-აღრიცხვის შესახებ უფრო ვრცლად და ფართედ საზოგადო კრებას ექნება მსჯელობა. როგორც შორაპნის მაზრის აგრონომმა ბ. გედევანიშვილმა მოახსენა კომისიას, სამიწადმოქმედო დეპარტამენტს უკვე წელს, აპრილში, გადაუწყვეტია საგუბერნიო აგრონომის ბ. ვასილევსკის თანადასწრებით გაიხსნას საშუალო სამეურნეო სკოლა ქუთაისის გუბერნიისათვის; ეს გარდაწყვეტილება ჩვენი მომავალი სკოლისათვის ხელ-საყრელი იქნება. ბ. კ. ბერეკაშვილის სიტყვიდან სჩანს, რომ მთავრობა ასეთის ტიპის სკოლებისათვის თავის საშუალებიდან ჰხარჯავს ორ მესამედს თუ არა, ერთს მესამედს მაინც.

კვირას, 30 ღვინობისთვეს, კომისია წავა საქარის სანერგეში, დასათვალიერებლად მამულისა და ინვენტარისა, რომ ნამდვილი წარმოდგენა იქონიოს სასკოლო ადგილის და მისი ქონების თაობაზე.

შემდეგი კრება კომისიას ამ საგანზე ექნება კვირას, 6 გიორგობისთვეს.

ეფრემ მცირე.

შემოწირულება

ბ. ვ. გუნიას სასარგებლოთ ბ-ნ გრიგოლ ჩარკვიანისაგან მივიღეთ 5 მანეთი.

რედაქტორ-გამომცემელი
ხანდრო შანშიაშვილი

ამიერ-კავკასიის რკ. გზის მატარებლების მოძრაობა

(დრო ნაჩვენებია ტფილისის)

თბილისიდან გადის:

ბათუმისკენ	საფ.	№ 3,	11.08	დილ.
„	სამგზ.	№ 9,	10.33	საღ.
ბაქოსაკენ	ჩქარ.	№ 6,	11.18	დილ.
„	სამგზ.	№ 8,	3.54	დღ.
„	საფ.	№ 4,	9.28	საღ.
ყარსისაკენ	სამგზ.	№ 4-8,	11.18	საღ.
თელავისაკენ		№ 4,	8 „ 58 „	დილ.

ტფილისში მოდის:

ბათუმიდან	სამგზ.	№ 10,	9.52	დილ.
„	საფ.	№ 4,	6.38	საღ.
ხაშ.-ბორჯ.	სამგზ.	№ 20,	7.43	დილ.
„	სამგზ.	№ 18,	10.12	საღ.
ბაქოდან	საფ.	№ 3,	10.08	დილ.
„	სამგზ.	№ 7,	4.12	საღ.
„	ჩქარ.	№ 5,	8.48	საღ.
თელავიდან		№ 3,	6 „ 24 „	საღ.

სუსუნატი

ვისაც სურს ერთხელ და სამუდამოდ განიკურნოს ამ ავადმყოფობისაგან მუდამ უნდა ახსოვდეს, რომ მისი თავიდან მოშორება შეიძლება **სუსუნატის** წამლით პირველ-ხარისხოვანი **„გონოზანით"**. ეს წამალი სულ რამდენიმე დღეში ჰკურნავს დაძველებულ სუსუნატს. საშვალება **ნაცადია ტფილისის, რუსეთისა და საზღვარგარეთელ ექიმებისა და პროფესორების** მიერ და აღიარებულია საუკეთესო წამლად სუსუნატის მოსარჩენად.

ჩვენი გარანტია.

თუ თქვენთვის ეს საჭირო არ იქნება, გთხოვთ შეეკითხოთ რომელსაც გსურთ ექიმს ჩვენს აბებზე და ის აუცილებლად აგიხსნით, რომ ეს აბები საუკეთესო და რადიკალური საშვალებაა. საშვალება ერთნაირად ნაცადია მამაკაცებზეც და ქალებზეც. მაშ, ნუ ხარჯავთ დიდ ფულს უშედეგო წამლობაზე, რადგანაც 3 კოლოფი და სამი შუშხაპუნებით რომელიც წამალთან არის ერთად, სავსებით ჰკურნავს ავადმყოფს ამ მძიმე სენისაგან.

ერთი კოლოფი აბებისა ღირს 4 მან. და 3 შუშა შუშხაპუნებული ღირს ცხრა მან. სხვა ქალაქებში გაიგზავნება 3 მანეთის მიღების შემდგომ.

მიწერ-მოწერა და წამლის დაკვეთა შეიძლება მხოლოდ **რ. შმიდტ** თბილისი, თხინვალის ქუჩა № 12 отд. 3. მახლობლივ გოლოვინის პროსპექტისა და მელიქოვის ქუჩის.

Р. Шмидтъ, Тифлисъ, Тхинвалская ул· № 12 отд· 3.

პირადად ნახვა შეიძლება 2—5 საათამდე. წამალი იყიდება მთელი დღე.

—300—

გამოვიდა და იყიდება

კ. ოცხელის და ამხ. წიგნის მაღაზიაში

(ქუთაისში)

რუსული ენის პირველ დაწყებითი სახელმძღვანელო „Новое Слово" ნაწ. I, მეორე გამოცემა. ახლად დასურათებული, შედგენილი **ხ. ოცხელის** მიერ. ფ. ყდით 2 აბაზი.

ამ წიგნის პირველ გამოცემას თითქმის ყველა ქართული პერიოდული გამოცემა (გარდა ჟურნ. „განათლებისა") თანაგრძნობით შეხვდა.

პრაქტიკის მქონი მასწავლებლები გამოცდილების შემდეგ იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ „Новое Сслово"-თ სწავლებით მოწაფეები არაჩვეულებრივი ხალისით და წარმატებით ითვისებენ რუსულ ენას.

სასწავლო ოლქმა თანახმად მზრუნველის რჩევის დადგენილებისა ავტორს აცნობა ოლქის რეცენზენტის აზრი, სადაც სხვათა შორის ნათქვამია: Способъ разучиванія матеріала, предложенный составителемъ „Новаго слова" имѣетъ несомнѣнныя достоинства, и умѣлое пользованіе имъ значительно оживитъ преподаваніе, а равно и усвоеніе дѣтьми русскаго языка... „Новое слово" можетъ быть признано вполнѣ подходьщимъ руководствомъ для грузинскихъ народнихъ школъ".

(თ.—225—24)

საუკეთესო კახური
# ღვინის საწყობი
ადამ ზურაბის ძის
# ბერელაშვილისა
მოთავსებულია მიხეილის ქუჩაზე № 5. საკუთარი სახლი.
(102—წ.)

თევზის მრეწველნი
# ძმ. მეზველოვები
პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ., № 9, ტელეფონი № 712.

ყოველ დღე მოგვდის საკუთარ და სავაჭრო სახლ. „დ. მაიდლოვის-ზმით, სამრეწველოებიდან ახალი ქვირითის ხიზილალა, მცირე მარილიანი, შავი „კულმიზნი" ხიზილალა, აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის ზუთხი, თართი, ფარგა და ლოქო, გვაქვს აგრეთვე მიღებული ყოველგვარი კონსერვები და სარდინკები რუსეთის და საზღვარ-გარეთის ფირმებისა ხანგრძლივ ინახება.

ნებადართულია სამხედრო ცენზორისაგან

სტამბა „ცხოვრება" კალანდაძისა, დაბაქვის შესახვევი № 4.